ლელო

№ 5
(11 462)

18 – 22 იანვარი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„დინამოს“ საფეხბურთო კლუბი ცაიტნოტშია!

მსჯელობა ფიფადან მიღებული გაფრთხილების გამო

თბილისის საფეხბურთო კლუბ „დინამოსა“ და თბილისის „მრეტებს“ შორის ხანგრძლივი დავა ფეხბურთელ ქინქლაძის ტრანსფერის თაობაზე, დაპირისპირებისა და, მოსალოდნელია, განვითარების საბოლოო ფაზაში შევიდა. ამას მოწმობს ის კატეგორიული პოზიცია, რომელიც ფიფამ დაიკავა ხსენებულ კონფლიქტთან დაკავშირებით. თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები დასაბამიდან, „ლელოს“ მკითხველებისთვის კარგადაა ცნობილი, ამიტომ ახლა ჩვენ მხოლოდ სფფ-ს სახელზე ფიფადან მიღებული ოფიციალური შეტყობინების ტექსტის იმ ამონაწერს გაგაცნობთ, რომელიც ყველაფერს ნათელს მოჰფენს. აი ისიც:

„მოცემული საქმე წარედგინა ფიფას სადისციპლინო კომიტეტს, რომელიც

იხ. მე-3 გვ.

ნოემერში:

- სპორტის სათამაშო სახეობებში, მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე ჯერჯერობით მხოლოდ მორაგბეები გაიმარჯვეს სანრეფლოდ
- ხელბურთელებს კიდევ ერთხელ, საცოდავად ვოცარათ ხელი
- ქართველები გერმანიაში ერთვანეთის წინააღმდეგაც თამაშობენ...
- ბლაგერი აღუფოთებულია ფეხბურთში უწესრიგობით და ფეხბურთელთა სააასპორტო ონაცემების გაყალბებით
- ბოსვანის საქმე ფიფა-ეფას კონფლიქტის საბაბი ხდება
- William HILL
- მსოფლიოს სპორტული სამყაროს ახალი ამბები

ქართველი ალპინისტები – პირველი ასვლები ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში

ახალი საუკუნის და ახალი ათასწლეულის მობრძანებას დაუკავშირეს ღონისძიებები ქართველმა ალპინისტებმა. 6 იანვარს ყაზბეგში, გერგეთის მეტეოროლოგიურ სადგურში, რომელიც ზღვის დონიდან 3700 მეტრზეა, ალპინისტთა 12-კაციანი ჯგუფი დაბანაკდა ზურაბ კუჭავას ხელმძღვანელობით. უამინდობის გამო მყინვარწვერზე მე-2 კატეგორიის სიძნელის კლასიკური მარშრუტით ლაშქრობა შეფერხდა, მხოლოდ 15 იანვარს გამოიდარა და 8-კაციანი ჯგუფი ზემოხსენებული მარშრუტით ავიდა მყინვარწვერზე. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი ასვლა ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში. მეორე ჯგუფი, რომელიც ოთხი ალპინისტისგან შედგება და რომელსაც ზურაბ კუჭავა ხელმძღვანელობს, პირველამსვლელის უპირატესობით ახალი გზით ავა მყინვარწვერზე (5033 მ).

გუშინ რედაქციამ მიიღო ცნობა, რომ ალპინისტთა ერთი ჯგუფი, ცნობილი მთამსვლელების ბიძინა გუჯაბიძის, აფი გიგანის და მერაბ ხაბაზის შემადგენლობით, სვანეთში გაემგზავრა და უშბას დალაშქრავს.

ფაქსი კიევიდან:

გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული საფეხბურთო ნაკრებები 21-ე საუკუნეში პირველ საერთაშორისო მატჩს 14 თებერვალს უკრაინელებთან გამართავენ. ოლიმპიელები 12 საათზე „შევარდენზე“ გაეჯიბრებიან ერთმანეთს, პირველი გუნდები კი „ეროვნულზე“ ითამაშებენ 15 საათზე. სლავები თბილისში 13 თებერვალს საღამოს ჩამოფრინდებიან 100-კაციანი დელეგაციით და მატჩების დასრულების შემდეგ შინ გაემგზავრებიან.

გუშინ, სფფ-ში უკრაინის ფეხბურთის ფედერაციიდან ფაქსი მოვიდა, რომელიც იტყობინება, რომ უკრაინელები ქართველებს ახლა თავისთან პატიჟებენ და საპასუხო ვიზიტის თარიღსაც გვთავაზობენ — 2002 წლის 26-27 მარტი.

„ლელოს“ ნომინაციები და 2000 წლის ლაურეატები

1997 წლიდან მოყოლებული, ჩვენი გაზეთი ყოველი გასული წლის შედეგების მიხედვით ავლენს გამარჯვებულებს ცალკეულ ნომინაციებში.
2000 წელს ლაურეატები გახდნენ და „ლელომ“ გამარჯვებულად სცნო:

რეგიონებს შორის
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ოენგიზ ბოლქვაძე).

საქალაქო სპორტულ ორგანიზაციებს შორის
თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამმართველო (უფროსი ვლადიმერ კანკავა).

სამხარეო ორგანიზაციებს შორის
მცხეთა-მთიანეთის მხარე (პრეზიდენტის რწმუნებული კობა ბუჩუკური, სპორტის სამხარეო სამმართველოს უფროსი ვიტალი გრძელიშვილი);

რაიონულ სპორტულ ორგანიზაციებს შორის
თბილისის დიდუბის რაიონი (სპორტული მუშაობის კოორდინატორი — ნუხა გაგოშიძე);

სპორტულ ფედერაციებს შორის
ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია (საპატიო პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი);

უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბებს შორის
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია (რექტორი ომარ გოგიაშვილი, სპორტკლუბის თავმჯდომარე ჰამლეტ ათაბეგოვი).

სპორტულ კლუბებს შორის
მოჭიდავეთა სპორტული კლუბი „თბილისი“ (დირექტორი ოთარ ტატიშვილი).

სპორტული პროფილის სასწავლებლებს შორის
ქუთაისის სპორტული ლიცეუმი (დირექტორი — თამაზ ჭაბუკიანი).

გავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებს შორის
სოფ. ვარიანის კრივის სკოლა (დამფუძნებელი გიორგი კანდელაკი)

პერსპექტიული გუნდი
წყალბურთში საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები (მწვრთნელები სოსო მაისურაძე, ირაკლი კიკალიშვილი).

საუკეთესო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა
თბილისის 24-ე საშ. სკოლა (დირექტორი ლია იოსელიანი; ფიზიკოზრდის მასწავლებლები: დავით ხვთასი, შოთა ესებუა, ლიზიკო ნაკაშიძე, კახა ყავლაშვილი).

წლის საუკეთესო სპორტის ქომაგი სახელმწიფო მოღვაწე
ვანო ზოდელავა — თბილისის მერი.

წლის საუკეთესო სპონსორი
გოჩა ძასოხოვი — ბიზნესმენი, ამჟამად ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

დაჯილდოება

სპორტის სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის და დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ფედერაციის გენერალური მდივანი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი *გივი ცქიტიშვილი* დაჯილდოდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო საგელით.

SOS ვაი, ნგრევისაგან...

70-იან წლებში თბილისის ცენტრში, მეტრო „ოქტომბრის“ (ამჟამად „ნაძალადევი“) მახლობლად მაშინდელი საქართველოს პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის იპოკრატე შევარდნაძის პირადი ავტორიტეტითა და გარჯით, აშენდა დიდი სპორტული კომპლექსი, რომელიც მოიცავდა ფეხბურთის მინდორს, საცურაო აუზს, რამდენიმე სპორტდარბაზს, კეთილმოწყობილ ოთხსართულიან სასტუმროს და სხვა ნაგებობებს. მაშინ „შრომითი რეზერვების“ ამ კომპლექსში ერთდროულად ვარჯიშობდა ასობით ფეხბურთელი, მოცურავე, ტანმოვარჯიშე, აკრობატი, მოჭიდავე, მშვილდოსანი, ტყვიის მსროლელი. მერე კი მოხდა სამწუხარო ამბავი: 1978-ში გარდაიცვალა იპოკრატე შევარდნაძე და სწორედ იქიდან იწყება უკუსვლა სპორტკომპლექსის ცხოვრებაში, სადაც მას შემდეგ თითი-თითზე არავის დაუკარებია. მეტიც, განადგურდა საცურაო აუზი (მარცხენა ფოტო), გაპარტახდა რამდენიმე სპორტული დარბაზი — ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, მშვილდოსნობის სავარჯიშო არენა, სანტექნიკური მოწყობილობის საწყობადაა ქცეული (მარჯვენა ფოტო). სამწუხაროდ, ამჟამად გასხვისებულია სასტუმროც — იქ თურქი მოსწავლეები ცხოვრობენ. ეს მაშინ, როცა დედაქალაქში სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე ჩამოსული სპორტსმენების დაბინავება პრობლემად ქცეულა. ვინ გაყიდა ნაწილნაწილ, ვინ გაასხვისა ეს სპორტული ბაზა, ვინ მოამრავლა იქ არასპორტული დანიშნულების ობიექტები?

ჯემალ ზიპაშვილი.





რობერტ ბაგოიანის ფოტოები.

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

იხ. მე-7 გვ.

ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე ჩოგბურთში. გუშინდელი დღის სენსაცია კუერტენის ფინასკო იყო. ბრაზილიელი ხომ 2000 წლის რჩეული ჩოგბურთელია და მისგან უმეტესობა გამარჯვებას ელოდა მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე ძლიერი ჰყავდა — ბრიტანელი გრეგ რუსედკი. ამ შეხვედრაში უძლიერესის გამოვლინებას 5 სეტი დასჭირდა. მართალია, პირველი დასთმო, რუსედკი არ დაბნეულა, ძალ-ღონე მოიკრიბა და მომდევნო ორი სეტი მოიგო. სენსაციის მოჟარულნი ყურადღებად იქცნენ, ყველას ეგონა მეოთხეში დაბნეული ბრაზილიელი ადვილად დამარცხდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, კუერტენმა მატჩის ეს მონაკვეთი ადვილად მოიგო. ყველაფერი მეხუთე სეტში გადაწყდა. როდესაც ანგარიში საყიმო იყო 5:5, მსაჯმა კუერტენის სასარგებლოდ შეცდომა დაუშვა — ბრაზილიელის გაგზავნილი ბურთი ლამის ნახევარი მეტრით გადასცდა გვერდით ხაზს. შემდეგ გეიმშიც იგივე განმეორდა და კვლავ მსაჯი კუერტენის სასარგებლოდ შეცდა. მიუხედავად ამისა, სამხრეთამერიკელს ამ დღეს გამარჯვება არ ეწერა, ბრიტანელმა შეხვედრა მოიგო 4:6, 6:4, 6:3, 2:6, 9:7.

სეზონი თბილისის ჩემპიონატით დაიწყო



საჭადრაკო სეზონი საქართველოში, როგორც ყოველთვის, ახლაც თბილისის ჩემპიონატით დაიწყო. იგი ერთდროულად ქალთა და ვაჟთა შორის მიმდინარეობდა, ორივე შეჯიბრებას კი ერთნაირი რეგლამენტი ჰქონდა — 9 ტური (შვეიცარიული სისტემით), დროის შემსუბუქებული კონტროლით.

ქალთა შორის ახლაც სრული უპირატესობა ახალგაზრდებს ჰქონდათ, თუმცა პირველი ადგილისათვის მეტად შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა. 6,5 ქულით თბილისის ჩემპიონი გახდა სოფიკო გვეტაძე, რომელსაც ადრეც ჰქონდა არაერთი წარმატება. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა თამარ წერეთელი, მესამე ადგილი კი თინა ყველიაშვილს დარჩა.

ვაჟთა შორის ბრწყინვალედ ითამაშა 16 წლის მერაბ გაგუნაშვილმა, რომელმაც ჯერ კიდევ უკანასკნელი, მეცხრე ტურის წინ მოიპოვა ჩემპიონობა. ბოლო შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ ზვიად იზორიასთან მან ყაიმით დაამთავრა და საბოლოოდ 8 ქულა მოაგროვა, რაც, ცხადია, მაღალი შედეგია. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა დავით არუთინიანი, მესამე ადგილზე კი 6,5 ქულით ლევან არაშიძე გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯღალოსნები სალაშქროდ აყრილან...

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 7 თვე დარჩა

ათენში ოლიმპიურ თამაშებამდე ჯერ საკმაო დრო რჩება, მაგრამ იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ ამ დროს, დიდად იქნება დამოკიდებული საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობა თამაშებში და შედეგები.

„ლელო“ დღეიდან, დროდადრო, წარმოგიდგენთ იმ სპორტსმენებს, რომლებმაც, სავარაუდოდ, შეიძლება მონაწილეობა მიიღონ 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიადაში. აქვე გვინდა გითხრათ ისიც, რომ მიმდინარე ოლიმპიური ციკლი ქართულ სპორტში თაობათა თვალსაჩინო ცვლას ემთხვევა. ეს მეტად საგულისხმო პროცესია და მით უფრო მეტის გაკეთება გვმართებს ყველას. ახლა კი გაიცანით:

მამუკა ტულუზი

მძლეოსნობა (ბირთვის კვრა)
დაიბადა 1988 წელს, ოზურგეთის რაიონში.
სიმაღლე – 182 სმ.
წონა – 104 კგ.
მეათე კლასის მოსწავლეა.
საუკეთესო შედეგები: ბირთვი 5 კგ – 17,11 მ; 6 კგ – 15,80, 7,260 გრ – 14,40.
სპორტსა ზოგადოება „მართვეს“ წარმომადგენელია.

მწვრთნელები: გიორგი ერქომაიშვილი და ყარამან საბანაშვილი.
ოსტატდება განათლების სამინისტროს მძლეოსნობის სპორტსკოლაში.
შარშან მ. ტულუშმა რუსეთის ღია პირველობაში II საპრიზო ადგილი დაიკავა თავის ასაკში.

ბორჯღალოსანთა არმია სალაშქროდ აიყარა. როგორც ერთ ცნობილ სიმღერაშია, მიზანი ერთია: დიადი, ნათელი! ქართველები მარ-დელ-პლატას გაემგზავრნენ მელროუზის თასისათვის საბრძოლველად, მსოფლიოს ჩემპიონატზე, შვიდკაცაში.

ქართველებმა ჯერ კიდევ 1993 წელს დაიწყეს ბრძოლა ამ თასისათვის. მაშინ მოსკოვში გამართულ შესარჩევ ტურნირში შვიდკაცა რაგბის უცოდინარმა ქართველებმა ლატვიელებს დაუთმეს ფინალური ტურნირის საგზური.

ვერც 1997 წელს, პორტუგალიაში ივარგეს ჩვენებურებმა. ან კი როგორ ივარგებდნენ, როცა ლისაბონშიც ისეთივე უცოდინარი ჩავედით, როგორც 1993 წელს მოსკოვში.

მერე ქართულ რაგბიში ძირეული და სასიკეთო ძვრები მოხდა. ჩვენებიც ნელ-ნელა გაუშინაურდნენ შვიდკაცას და სულ მალე ქართული შვიდკაცა ანგარიშგასაწევ ძალად იქცა ევროპაში.

პატივისცემამაც არ დააყოვნა და ჩვენები მსოფლიო პირველი სერიალის სამ ტურნირშიც მიიწვიეს. არც აქ შეურცხვენიათ თავი ბორჯღალოსნებს და სამხრეთ აფრიკის ქალაქ სტელენბოსხში მოპოვებული მესამე ადგილითა და 12 ქულით საპატიო X ადგილზე გავიდნენ სერიალის საერთო ჩათვლაში.

ამ შედეგმა ირბ-ს მამების თვალში კიდევ უფრო აგვამაღლა და მესამე ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უკვე განთესილ გუნდთა შორის მოვხვდით. ჩვენებმაც პატივი შეიშნოვეს და ჰაიდელბერგში მეტოქეებს სულ კუდით ქვა ასროლინეს. კლოდ სორელის განსწავლულმა ბიჭებმა, გია ლაბაძემ, ბესიკ ხამაშურიძემ, დავით ცხვედიანმა, ვასილ კაცაძემ, პალიკო ჯიმშელაძემ; მალხაზ ურჟუკაშვილმა, გიორგი ბუგიანიშვილმა, ბადრი ხეხელაშვილმა, აჩიკო ქავთარაშვილმა და ვასილ აბაშიძემ ფინალის საგზური დამსახურებულად მოიპოვეს.



კლოდ სორელი

შესარჩევი ტურნირი მაინც შესარჩევია, ფინალი კი მაინც სხვა დონის ტურნირია. ეს ჭეშმარიტება კარგად იციან ჩვენმა მწვრთნელებმა და ჩემპიონატისათვის სამზადისიც დროულად გააჩაღეს. გუნდმა მოიგო იერუსალიმის საკმაოდ პრესტიჟული ტურნირი, დამაკმაყოფილებლად ითამაშა ექსპერიმენტული შემადგენლობით მსოფლიო სერიალის ორ ტურნირზე, ამჟამად კი საკმაოდ გაშინაურებულ გრანდ-მოტის საწვრთნელ ბაზაზე „ჩაჯდა“ მზადების ბოლო ეტაპის გასავლელად.

კლოდ სორელმა ჰაიდელბერგის გმირებიდან მხოლოდ ტრამვირებული ბადრი ხეხელაშვილი მოისაკლისა, სამაგიეროდ, დაიმატეს თედო ზიბზიბაძე, ილია ზედგინიძე, ირაკლი აბუსერიძე და დავით ბოლღაშვილი. სწორედ ამ ბიჭებიდან შეირჩევა ის ათი მოთამაშე, რომლებსაც შორეულ არგენტინაში მოუწევთ საქართველოს ღირსების დაცვა.

არგენტინაში კი მთელი საშვიდკაცო ელიტა შეიკრიბა. აქ არიან ახლანდელი ჩემპიონები, ფიჯელები, მსოფლიო სერიალის პირველი გამარჯვებულები, ზელანდიელები და მსოფლიოს პირველი ჩემპიონები, ინგლისელები. საკმაოდ დიდი და დასაბუთებული პრეტენზიები აქვთ ავსტრალიელებს, სამხრეთაფრიკელებს და სამოელებს. საკუთარი კედლების დიდი იმედი აქვთ არგენტინელებს. არც ფრანგების, კანადელების, უელსელების და ირლანდიელების დავიწყება შეიძლება. დანარჩენ გუნდებს შეიძლება ნაკლები ამბიციები აწუხებდეთ, მაგრამ შვიდკაცა ისეთი თამაშია, სადაც ყველანაირი შედეგია მოსალოდნელი. ეს აკი შესარჩევმა ტურნირებმაც დაადასტურა, როცა ფინალის მიღმა დარჩნენ ტონგოელები და ამ თამაშის გამომგონებლები, შოტლანდიელი მორაგბეები. ასე რომ, მარდე-პლატაში დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ ჩვენს მორაგბეებს. მით უმეტეს, რომ ეს პირველი შემთხვევაა სპორტის სათამაშო სახეობებში, როცა საქართველოს ნაკრები, მსოფლიო პირველობის ფინალურ სტადიაზე თამაშობს.

ვინძლო მათი წარმატებული გამოსვლა გახდეს ის „კეთილთვისებიანი სენი“, რომელიც შემდგომ გადაედება სხვა სათამაშო სახეობათა წარმომადგენლებს.

რამდენიმე სიტყვა ჩემპიონატის ისტორიისა და ფორმატის შესახებ

შვიდკაცა რაგბის მზარდმა პოპულარობამ 1993 წელს ირბ მიიყვანა გადაწყვეტილებამდე ჩაეტარებინა მსოფლიო ჩემპიონატი შვიდკაცა რაგბიში. დამზადდა სპეციალური თასი, რომელსაც შვიდკაცა რაგბის ადგილის დედის, მელროუზის (შოტლანდიის ამ ქალაქში გამოიგონეს რაგბის ეს სახეობა) თასი ეწოდა. პირველი ჩემპიონატის ჩატარების უფლებაც შოტლანდიელებს ერგოთ. სკოთების ქვეყანაში წარმატებას ინგლისელებმა მიაღწიეს, რომლებმაც ფინალში ავსტრალიელები დაამარცხეს.

მეორე ჩემპიონატის ჩატარება ირბ-მ საშვიდკაცო ტურნირებში ყველაზე პოპულარული და პრესტიჟული ტურნირიხ მასპინძლებს, ჰონკონგიელებს დაავალა. აქ უკვე სამხრეთელებმა გაილადეს. ფინალში ფიჯელებმა სამხრეთაფრიკელები დაამარცხეს და ღირსეულად მოიპოვეს მელროუზის თასი. ფიჯელთა კაპიტანი, ვაისალე სერევი კი ტურნირის საუკეთესო მორაგბედ და შვიდკაცა რაგბის ნამდვილ ჯადოქრად შერაცხეს.

ახლა კი არგენტინაში მსოფლიოს საუკეთესო მოშვიდკაცეები მესამედ აპირებენ მელროუზის თასის გათამაშებას. მარ-დელ პლატაში ჩასული 24 გუნდი დაყოფილია ექვს გუნდიან ოთხ ჯგუფად.

I ჯგუფი: ფიჯი, კორეა, არგენტინა, რუსეთი, კენია, ირლანდია;

II ჯგუფი: სამხ. აფრიკა, საფრანგეთი, კუკის კ-ბი, საქართველო, კანადა, ტაივანი;

III ჯგუფი: ახ. ზელანდია, ინგლისი, ზიმბაბვე, იაპონია, ჩილე, ესპანეთი;

IV ჯგუფი: სამოა, ავსტრალია, უელსი, პორტუგალია, ჰონკონგი, აშშ.

ჯგუფებში თამაშები ჩატარდება წრიულად. შემდეგ I-II ადგილებზე გასული გუნდები ოლიმპიური სისტემით გააგრძელებენ თასისათვის ბრძოლას. ასევე ოლიმპიური სისტემით იბრძოლებენ შესაბამისად ლანგრისათვის (IX ადგილი) და სინისათვის (XVII ადგილი) ჯგუფებში II-IV და V-VI ადგილებზე გასული გუნდები.

თამაშები ჯგუფებში 26 და 27 იანვარს გაიმართება. 28 იანვარს კი გამოვლინდება მსოფლიოს ახალი ჩემპიონი. საქართველოს ნაკრების განრიგი ჯგუფში ასეთია:

26.01 მატჩი №1 საქართველო – საფრანგეთი
26.01 მატჩი №2 საქართველო – ტაივანი
27.01 მატჩი №3 საქართველო – კანადა
27.01 მატჩი №4 საქართველო – სამხ. აფრიკა
27.01 მატჩი №5 საქართველო – კუკის კ-ბი

ალექსანდრე ძურდობაძე,
საქართველოს რაგბის კავშირის
საორგანიზაციო
განყოფილების გამგე.

ხელბურთი ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩები

როცა შინიდანვე განწირული მიდიხარ!

როგორც ვიუწყებოდით, დაიწყო ხელბურთში 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ვალთა ეროვნული ნაკრები გუნდების მონაწილეობით. ვწერდით იმასაც, რომ ჩვენებმა წარუმატებლად დაიწყეს ტურნირი — დამარცხდნენ თურქეთის გუნდთან ორივე მატჩში (შეგახსენებთ, ვინაიდან თბილისში სტანდარტების შესაფერისი ერთადერთი ბაზა — სპორტის სასახლე არ თბება, საქართველოს ნაკრები შინ გასამართ საპასუხო მატჩებსაც სტუმრად ატარებს).

მეორე ტურში ჩვენების მეტოქე ბერძნები იყნენ. საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ალექსანდრე კიკაბიძის ინფორმაციით, მატჩის პირველი ნახევარი ფრედ — 9:9 დამთავრებულა. ცხადია, გაჩნდა საფრთხე, რომ მასპინძლები წააგებდნენ ამ შეხვედრას, ამიტომ მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაუგონარი არაობიექტურობასთან შეზავებული სიმკაცრე გამოუჩენიათ მსაჯებს, ჯერ მეკარე შოთა თევზაძე, შემდეგ გუნდის ლიდერი სერგო დათუკაშვილი გაუძევებიათ მოედნიდან და, მაინც, მატჩი მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით 24:23 დამთავრებულა ბერძნების სასარგებლოდ. საპასუხო შეხვედრაში მსაჯებს და მასპინძლებს თავიდანვე გაუთვალისწინებიათ წინამორბედ მატჩში გამოჩენილი უყურადღებობა და მსაჯებს თამაშის პირველი წუთებიდანვე შეუბოჭავთ ჩვენები. საბოლოოდ მეორე მარცხი ბერძნებთან — 20:25 (9:12).

ჩვენების შემდეგი მეტოქეა ბოსნია-ჰერცოგოვინას ნაკრები. 19 იანვარს პირველი მატჩია, 21-ში — მეორე.

სხვა შედეგები. I ჯგუფი: ესტონეთი — ავსტრია 38:25 (20:10); იტალია — ბელარუსი 30:24 (14:13). ავსტრალია — ესტონეთი 30:23 (14:10); ბელარუსი — იტალია 27:11 (13:05); ***საპასუხო:*** ბელარუსი — ავსტრია 35:20 (17:11);

II ჯგუფი: ფინეთი — სლოვაკეთი 27:27 (11:12); ბელგია — ბულგარეთი 18:23 (08:11); საპასუხო: სლოვაკეთი — ფინეთი 25:18 (13:06); ბულგარეთი — ბელგია 23:23 (11:12); ბულგარეთი — სლოვაკეთი 28:22 (13:11);

III ჯგუფი: ბოსნია — თურქეთი 30:28 (18:16); თურქეთი — ბოსნია 21:16 (08:09); ***IV ჯგუფი:*** ლიტვა — რუმინეთი 24:15 (13:05); ფარერები — შვეიცარია 24:27 (11:14); რუმინეთი — შვეიცარია 24:27 (12:14); ***საპასუხო:*** რუმინეთი — ლიტვა 20:23 (09:08); შვეიცარია — ფარერები 35:18 (15:08).

დასანანია, რომ ჩვენმა ხელბურთელებმა დღემდე ჩატარებული ოთხი მატჩიდან ოთხივე წააგეს. როცა საპასუხო შეხვედრებით სტუმრად უნდა გამართო, საბოლოო წარმატების იმედი ნაკლებად უნდა გქონდეს, მით უფრო თუ მსაჯიც არ გახლავს. თანაც დაბალი რეიტინგის გამო, გინდ ევროპის, გინდ მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩები აიღეთ, ჩვენი ნაკრები იანვარში დაგეგმილ მატჩებში მონაწილეობს. ასეა ყოველწლიურად. იანვარში კი თბილისის სპორტის სასახლეში არც სითბოა და არც სინათლე. ასე იჩაგრება ჩვენი ხელბურთი, გასაქანი არ ეძლევა გუნდის მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლენას. თქვენ წარმოიდგინეთ, მოტივიც კი აღარ არსებობს, ანდა, როგორ იარსებებს, როცა შინიდანვე განწირული მიდიხარ სათამაშოდ!

გსურთ სამ თვეში უცხო ენის შესწავლა?
მიაკითხეთ „ელიტა სკ“-ს. ენის საუკეთესო სპეციალისტები შეგასწავლიან ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, თურქულ და რუსულ ენებს.
გსურთ კომპიუტერის შესწავლა?
მიაკითხეთ „ელიტა სკ“-ს

ERC
„ELITA SK“
ELITE-RC CO.LTD
უცხო ენების და
კომპიუტერის სწრაფი კურსები
თბილისი-380077, ვაჟა-ფშაველას 44
(მ. დელისი), ტელ.: 39-87-25,
E-mail: erc@caucasus.net

საქართველოს ფეხბურთის საერთაშორისო სპონსორი
FOOTBALL FEDERATION GEORGIAN

FAIR PLAY please!
FIFA

ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერის მიმართვა
— ეროვნულ ასოციაციებს,
— კონფედერაციებს,
— მსაჯებს.

ფეირ-პლეის პრინციპების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ გახშირდა საფეხბურთო მინდვრებზე და მის გარეთ უხეშობის შემთხვევები, მივმართავ მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოებრიობას, ეროვნულ საფეხბურთო ასოციაციებს, მასმედიას, ყველას, ვინც დაინტერესებულია ფეხბურთით:

1. ფეხბურთელებმა უნდა შეწყვიტონ სახიფათო თამაში და მსაჯებთან კამათი;
2. მწვრთნელებმა უნდა მოითხოვონ ფეხბურთელებისაგან დიდი მოთმინება და ლოიალური დამოკიდებულება მსაჯებისადმი.
3. გულშემატკივრებმა უნდა ისიამოვნონ ფეხბურთით და არ უნდა გამოავლინონ ძალადობა სტადიონებზე და მის გარეთ.
4. კლუბების ხელმძღვანელობას უნდა ახსოვდეს თავისი პასუხისმგებლობა და განახორციელონ საქმიანობა მოვალეობასთან შესაბამისობაში;
5. მასმედიამ უნდა დაგმოს სპორტში ძალადობის გამოვლინების ნებისმიერი ფაქტი და ყოველმხრივ წაახალისოს კორექტული მოთამაშეები.

განსაკუთრებული მოთხოვნებია მსაჯებისადმი, რომლებიც მთლიანად არიან პასუხისმგებელნი წესრიგზე და კანონიერებაზე თამაშის დროს. მათზეა დამოკიდებული მატჩებისას სპორტული სულის შენარჩუნება და სათამაშო განწყობილების შექმნა.

დასასრულ, მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ფეხბურთელების საპასპორტო მონაცემების გაყალბების ფაქტებს. ფიფა გმობს ყველა ასეთ გამოვლინებას.

ფიფა-უეფა - „ცეცხლთან თამაში?“

„ბოსმანის საქმემ“ საფეხბურთო სატრანსფერო სისტემაში რევოლუცია გამოიწვია. ახლა ამ საკითხით ევროკავშირია დაინტერესებული და მოითხოვს, რომ ტრანსფერები მის კანონებს შეესაბამებოდეს. ახალი სატრანსფერო წესდების პროექტზე მუშაობისას, გარკვეულ საკითხებზე ვერც ფიფა და უეფა შეთანხმდა, რამაც შეიძლება ამ ორ გავლენიან საფეხბურთო ორგანიზაციას შორის კონფლიქტი გამოიწვიოს. დღეს არსებული ვითარების შესახებ კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტის თავმჯდომარეს
დავით პეტრიაშვილს.

მარცხნიდან: დავით პეტრიაშვილი, იოზეფ ბლატერი, ლენარტ იუპანსონი.

აი რა თქვა მან:

— ევროკავშირი ითხოვს, რომ ფეხბურთელთა ტრანსფერის სისტემა მის კანონმდებლობას შეესაბამებოდეს. ამიტომ ფიფა და უეფა ერთობლივად მუშაობდნენ ახალ სატრანსფერო წესდებაზე. უეფადან სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს ვიცე-პრეზიდენტი პერ ომდალი. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, შემუშავდა ევროკავშირში წარსადგენი დოკუმენტის პროექტი, მაგრამ შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა:

9 იანვარს ფიფამ ევროკავშირში ცალკე წარადგინა თავისი შენიშვნები, რომელიც განსხვავდებოდა იმ პროექტისაგან, რაც ფიფამ და უეფამ ერთად შეიმუშავეს. ფიფას ქმედების საპასუხოდ უეფას „ტასქ ფორსის“ ჯგუფმა, ომდალის ხელმძღვანელობით, 13 ევროპული ქვეყნის პროფესიული ლიგებისა და კლუბების წარმომადგენლები მიიწვია და ევროკავშირს მოსთხოვა 12 იანვრის შეხვედრა 22 იანვრისთვის გადაედო, რათა საშუალება ჰქონოდა ფიფას ახალ წინადადებებს გასცნობოდა. 15 იანვარს უკვე ფიფამ მიმართა ამ საქმეში ჩართულ ყველა უწყებას და აღშფოთება გამოთქვა უეფასადმი: „იმის ნაცვლად, რომ კონკრეტულ მუხლებზე გაემახვილებინა ყურადღება, უეფას მუშა ჯგუფი ორსაათნახევარი მხოლოდ პროცედურულ საკითხებზე მსჯელობდა“ — განაცხადეს ფიფას ჩინოსნებმა. ფიფა თვლის, რომ უეფა საქმისადმი არაკონსტრუქციულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. უეფას მიმართ პრეტენზიას ფიფა იმაზეც გამოთქვამს, რომ ევროპულმა საფეხბურთო ორგანიზაციამ „ბოსმანის საქმიდან“ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა, რადგან ევროკავშირის გადაწყვეტილებები და ცვლილებები უფრო დიდ გავლენას ევროპულ ფეხბურთზე იქონიებს, ვიდრე სხვა საფეხბურთო კონფედერაციებზე. ფიფა, როგორც უმთავრესი საფეხბურთო ორგანიზაცია, მოუწოდებს უეფას კონსტრუქციული დიალოგისაკენ.

22 იანვარს ევროკავშირი, ფიფა და უეფა მორიგ შეხვედრაზე შეიკრიბებიან და, იმედია, ყველა სადავო საკითხზე შეთანხმებამდე მივლენ.

ესაუბრა
მიხეილ საბახტარიშვილი

საქართველო: უწინდელივით სამი გუნდით ევროზურნირებზე

უეფამ მომავალი სეზონისთვის მასში შემავალი ქვეყნების რეიტინგი გამოაქვეყნა. 51 წევრიდან საქართველოს XXX ადგილი ერგო. ეს იმას ნიშნავს, რომ შარშანდელივით ევროტურნირებზე ჩვენი ქვეყანა სამი გუნდით წარსდგება: კლუბი-ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგის პირველივე შესარჩევი ეტაპიდან ჩაერთვება ასპარეზობაში, ხოლო უეფას თასზე ითამაშებენ თასის მფლობელი და ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასული გუნდები (ცხადია, აქაც შესარჩევი ეტაპიდან).

როგორც ცნობილია, შარშან ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ერთდროულად სამი ესპანური კლუბი გავიდა, ამიტომ წელს სწორედ ესპანეთი ჩაუდგა სათავეში ევროპული საკლუბო ფეხბურთის რეიტინგს. იტალია ამჯერად მეორეა. ეს ორი ქვეყანა და გერმანია, წლეულს, ჩემპიონთა ლიგაში, ორ-ორ გუნდს ავტომატურად გაიყვანენ, გარდა ამისა, ორ-ორ გუნდს ისინი საკვალიფიკაციო ეტაპზე წარადგენენ. სამ-სამი გუნდი ეყოლებათ ლიგაში საფრანგეთს, ინგლისს და ჰოლანდიას, მათგან ორს საკვალიფიკაციო ეტაპის გასვლა არ მოუწევს.

„დინამოს“ საფეხბურთო კლუბი ცაიტნოტშია!

(პირველი გვერდიდან)

შედგა სიდნეიში. იმ დროს, როდესაც სადისციპლინო კომიტეტს უნდა დაეწყო საქმის განხილვა, მიღებულ იქნა ფაქსი საბანკო დანართით, რომელიც აღნიშნავდა, რომ თბილისის სკ „დინამომ“ გადაუხადა თანხა 30 ათასი აშშ დოლარი „მრეტებს“ და ირწმუნებოდა, რომ ყველა აუცილებელი ნაბიჯი გადაიდგმებოდა, და დარჩენილი თანხა 270 ათასი აშშ დოლარი დაიფარებოდა მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლომდე“ (ლაპარაკია, 2000 წ. ოქტომბერზე — *რედ*).

ასეთი ჩანაწერია ფიფას სადისციპლინო კომიტეტის №061200 **PST GEOZH** გადაწყვეტილების პრეამბულაში. დასკვნით ნაწილში კი ვკითხულობთ:

„გადაწყვეტილების მიღების დროს, სადისციპლინო კომიტეტმა იხელმძღვანელა ფიფას სპეციალური კომიტეტის შემდეგი რეკომენდაციებით და დებულებებით:

ფიფას წესდება: მუხლი 40 პ.3; ფიფას სადისციპლინო სანქციების ჩამონათვალი: თავი I.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფიფა-ს სადისციპლინო კომიტეტმა დაადგინა შემდეგი:

1. ს.კ. „დინამო“ თბილისს მიეცეს შემდგომი 30 დღე მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინების დღიდან, რათა სკ-ს „მრეტები“ თბილისი გადაუხადოს მთლიანი თანხა 270.000 ა.შ.შ. დოლარის ოდენობით.

2. იმ შემთხვევაში თუ მთლიანი თანხა არ იქნება გადახდილი მოცემულ პერიოდამდე, თქვენს ფედერაციას მოეთხოვება არ მისცეს უფლება ს.კ. „დინამო“ თბილისს მონაწილეობა მიიღოს 2001/2002 საფეხბურთო სეზონის ნებისმიერ შეჯიბრებაში.

3. ჯარიმა 5.000 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით დაეკისროს სკ „დინამო“ თბილისს. მოცემული თანხა გადახდილ უნდა იქნეს ფიფას საბანკო ანგარიშზე 30 დღის განმავლობაში დღიდან გადაწყვეტილების მიღებისა“.

ვერონ მოსენგა-ომბა,
ფიფას სადისციპლინო კომიტეტის მდივანი.

აი, ასეთი სავალალო ვითარებაა შექმნილი სადღისოდ. ზემოხსენებული დოკუმენტი ფიფადან სფფ-ში 2001 წლის 12 იანვარსაა მიღებული, ე.ი. დღეების ათვლა უკვე დაწყებულია და 30 დღის შემდეგ, ანუ 12 თებერვლამდე კონფლიქტი თუ ვერ მოწესრიგდება, რა სასჯელიც ემუქრება თბილისის „დინამოს“, თავად წაიკითხეთ. რა შეიძლება გაკეთდეს ასეთ ვითარებაში? ჩვენი გაზეთი დაინტერესდა იმ კონკრეტული ნაბიჯებით, რომელიც, ბუნებრივია, ახლავე უნდა იდგმებოდეს მოსალოდნელი საშინელების თავიდან ასაცილებლად.

— ჩვენ ინფორმაცია დროულად მივაწოდეთ ყველას: მთავრობას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპორტსაზოგადოება „დინამოს“, თვით საფეხბურთო კლუბ „დინამოს“. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავინ შეგვხმიანებია კონკრეტული წინადადებით, არადა, დრო მინიმალური რჩება, სფფ მზადაა შეასრულოს თავისი მოვალეობა. გვითხრან, რაში დავეხმაროთ, ტრანსფერზე ვეტოს მოხსნის საკითხიც კი არავის დაუყენებია, რაღაც წინადადება ხომ უნდა მოვიდეს ჩვენამდე, — თქვა სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ.

არც ჩვენ ვამტკიცებთ და არც სფფ-ში სჯერათ, რომ ზემოხსენებული ორგანიზაციები არ ეძიებენ პრობლემის გადაჭრის გზებს, მაგრამ ის ვერ გაგვიგია, ყველას ერთად შეკრებას და ერთად მსჯელობას წინ რა უდგას. იქნებ თვით „დინამომ“ და „მრეტებმაც“ გადადგან ერთმანეთისკენ შემხვედრი ნაბიჯი. მით უფრო, ჩვენც, საზოგადოებრიობასაც სჯერა, რომ „მრეტები“ „დინამოს“ ჩაძირვით კი არა, კუთვნილი თანხის მიღებითაა დაინტერესებული მხოლოდ.

ზედმეტად მიგვაჩნია იმის შეხსენებაც, რომ „დინამოს“ დასჯა არა მხოლოდ ამ გუნდის, არამედ, საერთოდ, ქართული ფეხბურთის ღირსების შელახვაა...

მიმომხილველი

პირველი ქართველი კიოლნის სკოლაში

ვახტანგ თამაზაშვილი თბილისელი ბიჭია, თუმცა საფეხბურთო კარიერის დიდი ნაწილი უცხოეთში გაატარა. 80-იან წლებში ჯარში ყოფნისას ჟიტომირის „სპარტაკში“ თამაშის შემდეგ, თამაზაშვილი კიევის „დინამოს“ საბაზო გუნდ „ბელაია ცერკოვში“ გამოდიოდა. ეროვნული ჩემპიონატის დაწყებისთანავე საქართველოში ჩამოვიდა და სამტრედიის „სანავარდოს“, ჭიათურის „მაღაროელის“ და თბილისის „არმაზის“ შემადგენლობაში 100-ზე მეტი მატჩი ითამაშა, 20-მდე გოლიც გაიტანა. მერე გერმანიაში გაემგზავრა და რეგიონალლიგის „ვაიმარ 1903“-ში ითამაშა ერთი სეზონი. შემდეგ ტრავმა მიიღო. გამოჯანმრთელდა თუ არა, პატარა საკურორტო ქალაქ შტეინბახჰალენზების „გრიუნ ვაისში“ გადავიდა და დღემდე იქ გამოდის. გუნდი თიურინგიის ლიგაში ასპარეზობს. ამ ლიგის ისტორია სულ ხუთ წელიწადს ითვლიდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებური მხოლოდ ოთხი წელია იქ მონაწილეობს, ლიგის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მესამე ადგილზეა 60 გატანილი გოლით. თამაზაშვილზე ინფორმაცია ჩვენთვის იმიტომაც არის საყურადღებო, რომ დღეს, როდესაც ჩვენში მთელი სიმძა-

იხ. მე-4 გვ.

კობა ქორქიკაშვილის შეგირდებს გერმანიაში იწვევენ

საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრები თავის პირველ სრულფასოვან საერთაშორისო საწვრთნელ შეკრებას გერმანიაში, აალენში ჩაატარებს. ქართული გუნდი, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა, სფფ-ში გაგზავნილი ოფიციალური ფაქსით მიიწვია. ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს გერმანელ თანატოლებთან 20 და 22 თებერვალს.

35-ე სკოლელთა მადლობა

არაერთხელ დაგვიწერია, რომ სფფ შეძლებისდაგვარად მხარში უდგას საფეხბურთო სკოლებს და ხელს უწყობს მათ მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცებაში. ცნობილ 35-ე საფეხბურთო სკოლას სფფ-მ ფორმები, ბურთები და საფეხბურთო ინვენტარი გადასცა საჩუქრად, რომელიც ესსოდენ ესაჭიროებოდა დღეს სხვებივით გაჭირვებაში ჩავარდნილ ამ დიდი ტრადიციების სკოლას.

35-ე სკოლის დირექტორმა ა. თურქიამ, მთელი პედკოლექტივის სახელით, მადლობის წერილი გაუგზავნა სფფ-ს გაწეული დახმარებისათვის.

პირველი ქართველი კიოლნის სკოლაში

(მესამე გვერდიდან)

ფრით დადგა ფეხბურთის მწვრთნელთა ლიცენზირების საკითხი, ვახტანგი ამ მხრივ ჩამოყალიბებულ მწვრთნელად უნდა ჩაითვალოს. თავად განსაჯეთ, ამჟამად იგი „გრიუნ ვაისის“ მოთამაშე მწვრთნელია, ამავე კლუბის A, B, C, D, E და F ჯგუფის იუნიორების მწვრთნელთა კონსულტანტია, გერმანიაში გაიარა ჯერ „C“ კატეგორიის, შემდეგ „B“ კატეგორიის მწვრთნელთა კურსები. მივლინებული იყო უნგრეთის უმაღლესი ლიგის „ჰალადაშის“ (სუმბათჰეი) მთავარ მწვრთნელთან გეზა ვინცზერთან პრაქტიკაზე. ახლა თამაზაშვილი „A“ კატეგორიის მწვრთნელობის ლიცენზიაზე ოცნებობს, რომელსაც ახლო კონტაქტები მქონდა. დიმა პაპავას და მელორ ბიგვავასაც კარგად ვიცნობ, კიდევ ერთი ბიჭი, ხვიჩა შუბითიძე გამოდის „ცვიკაუში“, ბესო ფრიდონაშვილი კი, რომელიც „ბად ზალციგენში“ თამაშობს, ჩემი პირადი მეტოქეა! შარშან, 12 ნოემბერს მათ გუნდთან თამაში გვქონდა, მოვუგეთ და იმ დღეს ბიჭიც შემეძინა — ლუკა დავარქვი. ბესო კარგად მოეწყო, ჩინებულად თამაშობს, გერმანელი ცოლიც მოიყვანა და მთელ ქალაქში ცნობილი კაცია.

● ***ქართველები უკვე ბუნდესლიგასაც გაუშინაურდნენ. ალბათ, საკმაო ავტორიტეტიც აქვთ ქართველ ფეხბურთელებს...***

შეტევაზე ვახტანგ თამაზაშვილი (№10)

კიოლნის სახელგანთქმული მწვრთნელთა სკოლის კურსდამთავრებულებს აძლევენ. ვახტანგ თამაზაშვილმა უკვე ყველა საბუთი შეაგროვა და ზაფხულში ალბათ კიოლნის სკოლაშიც ჩაირიცხება.

● ***ვახტანგ, ასეთ სერიოზულ გადაწყვეტილებას ტყუილად არ მიიღებდით...***

— რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა პატარა ბიჭი „ავაზას“ საფეხბურთო სკოლაში დავდიოდი, სულ იმ დროზე ვოცნებობდი, როცა თავად ვიქნებოდი მწვრთნელი. ახლა ისეთ ასაკში ვარ, რეალურად უნდა ვიფიქრო სამწვრთნელო კარიერაზე. ფაქტობრივად, მიზანი უკვე ავისრულე — მოთამაშე მწვრთნელი და ბავშვთა სკოლის კონსულტანტი ვარ, ჩემი სამწვრთნელო ლიცენზიით ნებისმიერი გუნდის სათავეში ჩადგომა შემიძლია ბუნდესლიგის გარდა, „A“ კატეგორიის შემდეგ კი, ამის შესაძლებლობაც მექნება. როცა იქნება, მაინც საქართველოში უნდა დავბრუნდე და ჩემს ცოდნას ჩემს სამშობლოში გამოვიყენებ.

● ***მოთამაშე-მწვრთნელობადა ბავშვთა სკოლის კონსულტანტობა თქვენს მაღალ ავტორიტეტზე მიუთითებს...***

— თავის ქებას არ დავიწყებ, მაგრამ კლუბშიც და ლიგაშიც დიდ პატივს მცემენ. სწორედ კლუბის და ლიგის პრეზიდენტებმა მომცეს რეკომენდაციები მესწავლა კიოლნის სკოლაში.

● ***გერმანიის ქვედა ლიგებში ბევრი ქართველი თამაშობს, მათთან თუ გაქვთ კონტაქტები?***

— რა თქმა უნდა, სანამ რეზო არველაძე, ნიკა ჩხეიძე და კახი კაჭარავა გერმანიაში თამაშობდნენ, — რა თქმა უნდა, რომ გვეგონა, ბუნდესლიგაში ქართველი ვერ ითამაშებსო, იაშვილმა, კობიაშვილმა, ცქიტიშვილმა და აჩიკო არველაძემ ყველას დაუმტკიცეს, რომ არა მარტო მონაწილეობა, არამედ წამყვანი როლის შესრულებაც შეუძლიათ. ისე, მეც მქონდა შანსი მაღალ დონეზე მეასპარეზა: ქართველთათვის კარგად ცნობილ იენის „კარლ ცაისთან“ კინაღამ კონტრაქტს მოვაწერე ხელი. საქმე კი ასე იყო. როცა გერმანიაში ჩავედი, „ვაიმარ 1903“-ში ჩავირიცხე. კარგად ვიყავი მომზადებული და ჩემმა უკრაინელმა აგენტმა „კარლ ცაისს“ დაურეკა, ფლეიმეიერი სპირდებოდათ. ძალზე კარგად ჩავატარე მატჩი, აგენტიც კმაყოფილი იყო, მაგრამ... მატჩის ბოლო წუთზე ფეხი მოვიტეხე... სამი თვე თაბაშირს და აღდგენას მოვუნდი, ამასობაში კი მატარებელმა ჩაიარა...

● ***საქართველოში ხშირად „ახვევდი“ კუთხურიდან, გერმანიაში თუ გამოიჩინე თავი?***

— რამდენიმეჯერ აქაც ჩავახვიე პირდაპირ კუთხურიდან, რასაც დიდი აღტაცება მოჰყვა და გულშემატკივრების კერპად ვიქეცი...

● ***მაშასადამე, მალე პირველი ქართველი მწვრთნელი გახდები „A“ კატეგორიის ლიცენზიით...***

— პირობას გაძლევთ, კიოლნის სკოლაში არც ერთ მწვრთნელზე უარესად არ ვისწავლი. გერმანული ენა, მგონი, თავად გერმანელებზე უკეთ ვიცი, რაც დავისახე, ყველაფერს მივაღწიე და არა მგონია, კიოლნის სკოლაში სწავლა გამიჭირდეს...

მამუკა კვარაცხელია,
სფფ-ს პრეს-ატაშე

ბავშვთა ფეხბურთი

ანზორ ზუკაკიშვილის შეგირდებმა იყოჩაღეს

ბავშვთა საფეხბურთო სკოლას, რომელსაც „ავაზა“, თვით დიდმა მიხეილ მესხმა შეარქვა, დაარსებიდან 30 წელი უსრულდება. ამ ხნის მანძილზე აქ ფეხბურთელთა თაობები აღზარდა, ტრადიციებს კი ნორჩი ფეხბურთელები აგრძელებენ, რომელთა შორისაა 1993 წელს დაბადებულ ბიჭუნათა გუნდი. უნარიანი და გამოცდილი მწვრთნელის ანზორ ზუკაკიშვილის შეგირდებმა, ამ დღეებში, თავი გამოიჩინეს საშობაო ტურნირში, რომელიც საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიასთან არსებული ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის თაოსნობით და ხელშეწყობით ჩატარდა ავლაბრის სტადიონზე. შეჯიბრებაში 1993-წლიანთა 10 გუნდი მონაწილეობდა, რომლებმაც ორ ქვეჯგუფად იასპარეზეს, ნორჩმა ავაზელებმა ოთხივე შეხვედრაში იმარჯვეს და პირველ ადგილზე გავიდნენ, ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა „აკადემია 2“, მეორე ჯგუფში უძლიერესი იყო „აკადემია 1“, მეორე — „დინამო-93“. „ავაზამ“ ნახევარფინალში აჯობა დინამოელებს 4-1; ხოლო აკადემიელთა ურთიერთშეხვედრაში პირველმა გუნდმა სძლია მეორეს 5-3. ფინალში კი „ავაზა 93“ და „აკადემია 1“ შეხვდნენ ერთმანეთს, პატარა ავაზელებმა თანატოლებს 4-2 აჯობეს და ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ. ამ გუნდიდანვე გამოვლინდა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი — აჩიკო კალანდია, საუკეთესო ნახევარმცველი — გოგი ვალერი. გამარჯვებულ გუნდში თამაშობდნენ: აჩიკო კალანდია, მიშა გუნცაძე, გოგი ვალერი, ტატო მგალობლიშვილი, დათო რაფავა, მერაბ გიგაური, რეზო უნგიაძე, ნიკა ფერაძე, დარჩი ელენტი, ირაკლი კაკაჩია, გიორგი ხოჭავა, ოთარ დათუნაშვილი, ნიკა ფანოზიშვილი, ნიკა თუშიშვილი, ნუგზარ ნაჭყებია, აჩიკო ნაუაშვილი, ნიკა და კუკური სუმახიანები, თორნიკე ხაჭაპურიძე, თორნიკე მეტრეველი, სანდრო გაგუა, ლუკა კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, ლაშა ქართველიშვილი (მწვრთნელი ა. ზუკაკიშვილი, სკოლის დირექტორი მ. მესხი).

სამეგრელოში ბავშვთა ფეხბურთზე ზრუნავენ

სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთის განვითარებისა და საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი ჯემალ გოგბია გვატყობინებს:

სფფ-ს პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად, რეგიონში გაძლიერდა კონტროლი ბავშვთა და ჭაბუკთა საფეხბურთო სკოლების სასწავლო-საწვრთნელ პროცესზე. ცხადია, იქ არც მომდინარე შეჯიბრებებს ივიწყებენ. ადგილობრივი ფედერაციის ძალისხმევით ბოლო ხანს ჩატარდა ჭაბუკთა ლიგის გათამაშება ორ ასაკობრივ ჯგუფში. გივი ჩოხელის თასის 2000-2001 წლების დასავლეთი ზონის გათამაშებაში სამეგრელოდან მონაწილეობს ოთხი გუნდი. დასრულდა აგრეთვე მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის და ნოდარ ახალკაცის თასების რეგიონული გათამაშების პირველი წრე, რომელშიც 900 ბავშვია ჩაბმული.

მიხეილ მესხის თასი

კოლხეთი (ფოთი)	7	6	0	1	25-7	18
ლაზიკა (ზუგდიდი)	7	1	1	1	19-6	16
ჯიხა (წალენჯიხა)	7	3	2	2	12-10	11
ოდიში (ზუგდიდი)	7	3	2	2	13-12	11
კოლხეთი-2 (ფოთი)	7	3	1	3	10-10	10
ოლიმპია (ხობი)	7	2	2	3	7-10	8
ეგრისი (სენაკი)	7	1	1	5	7-18	4
ფაზისი (ფოთი)	7	0	1	6	3-23	1

სლავა მეტრეველის თასი

იმედი (ლესიჭინე)	6	5	0	1	19-6	15
მაგუ (ზუგდიდი)	6	5	0	1	20-4	15
კოლხეთი-2 (ფოთი)	6	3	0	3	6-7	9
კოლხეთი (ფოთი)	6	3	0	3	10-11	9
ენგური (ჯვარი)	6	2	1	3	9-17	7
ჯიხა (წალენჯიხა)	6	2	0	4	9-17	6
შევარდენი (სენაკი)	6	0	1	5	5-15	1

ნოდარ ახალკაცის თასი

კოლხეთი (ფოთი)	11	10	0	1	41-6	30
ოლიმპია (ზუგდ.)	11	10	0	1	46-6	30
ოდიში (ზუგდიდი)	11	9	1	1	29-2	28
კოლხეთი-2 (ფოთი)	11	6	1	4	11-10	19
ფაზისი (ფოთი)	11	5	2	4	14-13	17
ეგრისი (სენაკი)	11	5	2	4	13-17	17
მაგუ (ზუგდიდი)	11	4	1	6	11-24	13
კოლხეთი XXI (ფთ)	11	4	1	7	12-20	13
ოდიში-2 (ზუგდ.)	11	3	1	7	18-26	10
სქური (წალენჯ.)	11	2	0	9	16-28	6
ენგური (ჯვარი)	11	1	2	8	10-42	5
შევარდენი (სენ.)	11	1	1	9	4-31	4

ჭაბუკიანელები იმედიანად არიან

როცა აღმოსავლეთ ზონაში პირველი წრის მატჩები მიილია, აღმოჩნდა, რომ ლიდერთა სამეული თითქმის ერთნაირი მაჩვენებლებით მივიდა საფინიშო ხაზზე — თბილისის გუნდებმა „ლოკომოტივ 3“ და „შსს აკადემიამ“ მხოლოდ ერთი ქულით გაასწრო ლაგოდეხის რაიონის „ჭაბუკიან -98“-ს. ამდენად, ძირითადი მოვლენები მეორე წრეში განვითარდება.

უნდა ითქვას, რომ ლიდერები სამომავლო მზადებას უკვე შეუდგნენ: დედაქალაქის გუნდები თბილისში გადიან შეკრებას, ჭაბუკიანელები — თავისივე სოფელში. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა კახეთის გუნდის უფროსს თემურ გუნიას.

● ***რა ამბავია ჭაბუკიანში, როდის შეუდექით მზადებას?***

— სულ ორიოდე დღეა, რაც ფეხბურთელები შვებულებიდან დაბრუნდნენ. მთავარი მწვრთნელის რობერტ ბერუაშვილის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით, ერთ კვირაში უკვე პირველ საკონტროლო მატჩს ვითამაშებთ.

● ***ვისთან გეგმავთ საკონტროლო შეხვედრებს?***

— ძირითადში ეს გუნდები უმაღლესი ლიგის წარმომადგენლები იქნებიან. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება მათთან.

● ***გუნდში, ალბათ, ცვლილებებია...***

— ძირითადი შემადგენლობა შენარჩუნებულია, მხოლოდ ერთი ფეხბურთელი გამოგვაკლდა.

ჩვენი გაზეთის მკითხველთა საყურადღებოდ!

რედაქციისთვის კარგადაა ცნობილი, რომ „ლელოს“ ყოველკვირეულ დამატება „ქართულ ფეხბურთზე“ დიდია სპორტის ამ სახეობის გულშემატკივართა მოთხოვნა. რედაქციამ საგანგებოდ დაადო გაზეთს მინიმალური ფასი – 20 თეთრი, რათა ის ხელმისაწვდომი ყველასთვის ყოფილიყო. სამწუხაროდ, რედაქციის ამ დათმობით ბოროტად ისარგებლეს გაზეთის გამავრცელებელმა ზოგიერთმა სააგენტომ და ნაცვლად 20 თეთრისა, გაზეთს დაადეს ფასი – 40 თეთრი, თანაც ეს ფასი თვითნებურად დაკრეს გაზეთზე მინიშნებულ ფასზე, მისი დაფარვის მიზნით. ამასთან, გაცნობებთ, რომ რედაქცია რეალიზაციის ღირებულებას სააგენტოებს უხდის გაზეთზე დეკლარირებული ფასიდან, ანუ 20 თეთრიდან 25-30 %-ს. ამასთან, გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ „ლელოს“ მე-3 გვერდს, თავში, დღემდე, ჰორიზონტალურად გასდევდა ქუდი – „ლელო-ქართული ფეხბურთი“ ქვეშ წარწერით: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი. ზოგიერთმა გამავრცელებელმა რვაგვერდიანი გაზეთის 4-4 გვერდად რეალიზაცია დაიწყო, რადგან ზემოხსენებული წარწერა-სათაური ცალკე გაზეთის შთაბეჭდილებას სტოვებდა. დღეიდან, მესამე გვერდზე, ამ ე.წ. ქუდს, ვერტიკალურად იხილავთ, რაც მკითხველთა ინტერესების დაცვითაა ნაკარნახევი.

საქართველო უძრაობის ხანაში შეეიდა – რახანია ნნ-ეს ეზაქეანით

გამოქვეყნდა ფიფა-კოკა-კოლას ახალი რეიტინგ ფურცელი. გასული საუკუნე საქართველომ 66-ე ადგილზე დაასრულა. როგორც მოსალოდნელი იყო, იანვარშიც ძვრა ვერავინ გვიყო და იმავე პოზიციაზე დავრჩით.

ფიფას რეიტინგ-ფურცელი. 2001 წლის იანვარი

1. ბრაზილია – 821 ქულა, 2. საფრანგეთი – 801, 3. არგენტინა – 771, 4-5. ჩეხეთი, იტალია – 742-742, 6. პორტუგალია – 738, 7. ესპანეთი – 734, 8. ჰოლანდია – 708, 9. იუგოსლავია – 707, 10. პარაგვაი – 706, ...20 რუსეთი – 634, ...34. უკრაინა – 587, ...66. საქართველო – 508, 67. ესტონეთი – 499, ...72. უზბეკეთი – 483, ...86. ლატვია – 457, ...92. სომხეთი – 441, 93. ლატვია – 438, ...95. მოლდოვა – 430, 96. ბელარუსი – 427, ...115. აზერბაიჯანი – 349, ...120. ყაზახეთი – 323, ...126. თურქმენეთი – 305, ...136. ტაჯიკეთი – 281, ...ყირგიზეთი – 137.

უეფა ფულს ანაწილებს

UEFA

უეფამ, გუშინ, გამოაცხადა, რომ 1 მილიარდი შვეიცარიული ფრანკი მოგება (დაახლოებით 625 მილიონი დოლარი), რომელსაც ამ სეზონში მიიღებენ ჩემპიონთა ლიგის მატჩებიდან, განაწილდება მასში მონაწილე კლუბებსა და ასოციაციებზე. ეს თანხა 140 მილიონი ფრანკით (86 მლნ. დოლარი) აღემატება შარშანდელს.

დასახელებული თანხის უდიდესი ნაწილი — 726 მილიონი ფრანკი (448 მლნ. დოლარი) განაწილდება 32 გუნდზე, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში გამოდიან. დარჩენილი 274 მილიონი ფრანკი (169 მლნ. დოლარი) განაწილდება ყველა ევროპულ ასოციაციაზე.

იტალიაში მწვრთნელებს ხელთათმანივით იცვლიან

ბოლო „როქი“ შეიძლება დღესხვალ მოხდეს და „ფიორენტინამ“ და „მილანმა“ მწვრთნელები გაცვალონ. – თურქი ფატიხ თერიმი გადაბარგდება მილანში, ხოლო ალბერტო ძაკერონი – ფლორენციაში.

წლევანდელი სეზონი აპენინებზე მწვრთნელების უმაგალითო რაოდენობის შეცვლებით გამოირჩევა: მარჩელო ლიპი, ზდენეკ ზემანი, ალბერტო მალეზანი, სვენ-გორან ერიქსონი... ყველა ისინი სერია A-ს პირველ წრეს შეეწირნენ, ხოლო მათ ადგილზე მოვიდნენ მარკო ტარდელი, ემელიანო მონდონიკო, არიგო საკი და დინო ძოფი. „კალჩოს“ სამმა გრანდმა – „ინტერმა“, „პარმამ“ და „ლაციომ“ მწვრთნელები შეიცვალეს უკვე პირველობის მსვლელობაში. გამორიცხული არ არის, რომ გუნდების თავკაცთა „როქი“ კიდევ გაგრძელდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ტარდელი სულ ორიოდე თვეა, რაც „ინტერში“ მოვიდა, კლუბის პრეზიდენტი მასიმო მორატი უფრო გამოცდილ სპეციალისტს ელის. ბოლო დღეებში იტალიურ გაზეთებში გაჩნდა ცნობა, რომ მორატი თავისთან ეპატიჟება „ვალენსიას“ არგენტინელ მწვრთნელს ჰექტორ კუპერს. იქნებ ტარდელი ძაკერონიმაც შეცვალოს?

სხვათა შორის, არ გაუგრძელებია კონტრაქტი „რომასთან“ ფაბიო კაპელოსაც, თუმცა, კლუბის პრეზიდენტი ფრანკო სენსი ოფიციალურად აცხადებს, რომ პრობლემა ამ მხრივ არ არსებობს. ამასობაში გამოჩნდა ცნობა, რომ კაპელოს გადმობირებას ესპანეთის „ბარსელონა“ ცდილობს – იქაური ბოსები ფაბიოს 5 მილიონ დოლარს სთავაზობენ, თანაც ჰპირდებიან, რომ გუნდში შეიძენენ ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან კრისტიან ვიერი და მენდიეტა.

სურათზე: ფატიხ თერიმი

William HILL

EUROBET-ის ფსონები

ინგლისი ● ჰრემიერლიგა

	თარიღი	მ.	ფ.	წ.
ჩელსი – იფსვიჩი	20.01.2001	1,62	3,5	4,5
ქოვენთრი – ევერტონი	20.01.2001	2,1	3,2	3,0
დერბი – მანჩ. სიტი	20.01.2001	1,8	3,2	4,0
ლიდსი – ნიუკასლი	20.01.2001	1,58	3,5	5,0
ლესტერი – არსენალი	20.01.2001	2,8	3,2	2,2
ლივერპული – მიდლსბრო	20.01.2001	1,45	3,5	6,5
მანჩ.იუნ. – ასტონ ვილა	20.01.2001	1,25	4,5	10,0
ტოტენჰემი – საუთჰემტონი	20.01.2001	1,62	3,5	4,5
სანდერლენდი – ბრედვორდი	21.01.2001	1,34	4,0	8,0
ჩარლტონი – ვესტ ჰემი	22.01.2001.	2,2	3,2	2,8

ინგლისი ● I დივიზიონი

ბარნლი – ბარნსლი	20.01.2001	1,8	3,4	3,6
ქრიკ-ნოტინგემი	20.01.2001	2,75	3,2	2,25
კრისტალ პალასი – ჯილინგემი	20.01.2001	1,73	3,4	4,0
ნორვიჩი – ქ.პ.რ.	20.01.2001	1,91	3,2	3,5
პორტსმუთი – უიმბლდონი	20.01.2001	2,0	3,6	3,38
პრესტანი – ვულვზი	20.01.2001	2,0	3,2	3,2
შეფილდ უენსდ – ბოლტონი	20.01.2001	3;2	3,2	2,0
სტოკჰორტი – გრიმსბი	20.01.2001.	1,8	3,4	3,6
ტრანმერი – ჰადერსფილდი	20.01.2001	2,1	3,2	3,0
შოტფორდი – ფულემი	20.01.2001	3,0	3,2	2,1
ვესტ ბრომვიჩი – შეფილდ იუნაიტ.	20.01.2001	1,62	3,5	4,5
ბირმინგემი – ბლექბერნი	21.01.2001	2,38	3,2	2,6

ინგლისი ● მეორე დივიზიონი

ბორნმუთი – ოქსფორდი	20.01.2001	1,5	3,6	6,0
ბრენტფორდი – სუინდონი	20.01.2001	1,58	3,6	5,0
ბრისტოლი – ნორთჰემპტონი	20.01.2001	1,67	3,5	4,34
ბერი – სტოკი	20.01.2001	3,0	3,25	2,1
კოლჩესტერი – მილუოლი	20.01.2001	3,4	3,4	1,91
ნოისი – როტერჰემი	20.01.2001	2,25	3,25	2,75
პიტერბრო – ლუტონი	20.01.2001	1,67	3,5	4,34
ფორტ ვეილი – რექსჰემი	20.01.2001	2,25	3,25	2,75
რედინგი – როვერსი	20.01.2001	1,5	3,6	6,0
უოლსოლი – სუონსი	20.01.2001	1,45	3,75	6,5
უიგანი – ოლდემი	20.01.2001	1,5	3,6	6,0
უიკომბი – კემბრიჯი	20.01.2001	1,62	3,6	4,5

მესამე დივიზიონი

ბრაიტონი – ბარნეტი	20.01.2001	1,4	4,0	6,5
კარდიფი – პლიმუთი	20.01.2001	1,45	3,75	6,5
დარლინგტონი – ჩესტერფილდი	20.01.2001	2,75	3,25	2,25
ჰალიფაქსი – ბლექპული	20.01.2001	2,2	3,4	2,75
ჰარტფული – კარლაისლი	20.01.2001	1,45	3,75	6,5
ჰალი – როჩდეილი	20.01.2001	2,5	3,2	2,5
ლეიტონი – საუთჰენდი	20.01.2001	1,62	3,6	4,5
მენსფილდი – კინდერმინსტერი	20,1.2001	2,1	3,25	3,0
სკანთორპი – ლინკოლნი	20.01.2001	1,58	3,6	5,0
შრიუსბერი – ჩელტენემი	20.01.2001	2,5	3,2	2,5
ტორკი – ექსეტერი	20.01.2001	1,8	3,4	3,75
[illegible]	20.01.2001	2,0	3,25	3,25

მარკ ბოსნიჩი.

ბოსნიჩმა „მანჩესტერი“ დაჯოვა

ინგლისურმა „ჩელსიმ“, გუშინ, მნიშვნელოვანი შენაძენი გააკეთა — უფასოდ მიიღო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ავსტრალიელი მეკარე მარკ ბოსნიჩი.

იხეტიალა, იხეტიალა და...

თავისი უდისციპლინობით განთქმულმა თავდამსხმელმა კონსტანტინ კოვალენკომ, თუმცა შედეგიანობას ვერავინ დაუწუნებს, 2000 წლის განმავლობაში ბევრი იხეტიალა. იგი ხომ ანატოლი ბაიდაჩნიმ სამჯერ გარიცხა ნოვოროსიისკის „ჩერნომორეციდან“ და ორჯერ დააბრუნა, შემდეგ კოვალენკო უშედეგოდ ცდილობდა ბუნდესლიგის რომელიმე კლუბში მოხვედრას.

უკანასკნელი ცნობებით, ახალი სეზონიდან კოვალენკო მოსკოვის „ლოკომოტივში“ ითამაშებს.

მწვრთნელისათვის ფულს არ დაიშურებენ

საბერძნეთის ერთ-ერთ წამყვან კლუბს, პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ განზრახული აქვს მოიწვიოს რომელიმე განთქმული მწვრთნელი. კანდიდატებს შორის არიან მარჩელო ლიპი და სრეჩკო კატანეიცი.

კლუბი თანახმაა ახალ მთავარ მწვრთნელს მეტად დიდი ხელფასი დაუნიშნოს: 2,4 მილიონი დოლარი წელიწადში.

მეოთხე დივიზიონი რომ სანატრელი გახდება

ინგლისის ლიგებში თითოეული უცხოელი ფეხბურთელის დაშვება (თუ, რა თქმა უნდა, განთქმული ვარსკვლავი არ არის!) მთელი პრობლემა ხდება.

ამას წინათ, ეს უფლება მიიღო ლიტვის ნაკრების მცველმა ანდრეიუს ტერეშკინასმა (რიგის „სკონტოში“ გამოდიოდა). იგი ამიერიდან ინგლისის მეოთხე დივიზიონის კლუბ „მეკლსფილდ თაუნში“ ითამაშებს.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ისტორიკოსთა სტატისტიკის ვერსიით XX ასწლეულის საუკეთესო ფეხბურთელები

„ოქროს მგზაცებელი“ ტოსტაო

მას ბრაზილიის ფეხბურთის „თეთრ მარგალიტსა“ და „თეთრ პელეს“ უწოდებდნენ. 23 წლისა მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მერე თვალის მძიმე დაშავება, და 26 წლისამ დაასრულა საფეხბურთო კარიერა. შემდეგ სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლების წლები, მუშაობა ექიმად და დაბრუნება ფეხბურთში ახალ ამპლუაში – ტელევიზიისა და გაზეთის კომენტატორად.

მინიატურული, ბავშვური სახითა და დასტაქრის სულით – როგორ არ ჰგავდა ბრინჯაოში გამოკვეთილ, ტანად, საკუთარი თავის ფასის მცოდნე და ღირსეულად დაფასებულ ფეხბურთელებს, რომლებმაც ბრაზილიის ნაკრებში მის გამოჩენამდე ორჯერ გაიმარჯვეს მსოფლიო პირველობაზე. და მაინც, ვარსკვლავთა ეს ნაკრები სულ მალე წარმოუდგენელი გახდა უიმისოდ – უტოსტაოდ. და რა კარგია, რომ ორმოცდაათი წლისამ, საექიმო პრაქტიკით გატაცებულმა, გამონახა დრო, გაეზიარებინა თავისი აზრები ფეხბურთზე, მოგონებები დიდების წლებზე. ბრაზილიაში გამოსულ მის წიგნს, რომლის ნაწყვეტებს გთავაზობთ, ყველა ფეხბურთის მცოდნე და ამ გამოჩენილი ფორვარდის თაყვანისმცემელი, უდავოდ, ტოსტაოს კიდევ ერთ ბრწყინვალე გოლს უწოდებს.

ყრმა და ბურთი

ჩემმა სიყრმემ სამრეწველო კვარტალში ჩაიარა – ფეხბურთისთვის იდეალურ ადგილას. ცხრა დიდ სახლს შორის დაუყვებოდა ფართო ასფალტდაგებული ქუჩა – შუაში მკვიდრად გათელილი ფეხბურთის მინდვრით. ჩემი ოჯახიც საფეხბურთოდ უნდა ვადიარო: მამა – მოყვარულობის ხანაში „ამერიკის“ მოთამაშე, სამი უფროსი ძმა ფეხბურთს გადაყოლილები, ამასთან ორნი – კაკაუ და ჟოზე ოსვალდო „ამერიკისა“ და „კრუზეიროს“ ძირითადი მოთამაშეები იყვნენ, მათგან შევიძინე ჭკუაგონება.

ორიდან შვიდ წლამდე ჩემს თავს ვეკუთვნოდი, სხვაგვარად – შინიდან მინდორზე გავრბოდი. ცხოვრების ამ პირველმა წლებმა არსებითად, განაპირობა კიდეც ჩემი ბედი. ნიადაგ მოზრდილ ბიჭებში ვტრიალებდი. აქედან დამერქვა „ტოსტაო“ – იმხანად მიმოქცევაში მყოფი ყველაზე წვრილი ფულის სახელი. მაგრამ ვიდრე ნამდვილ ტყავის ბურთს „დავაჭაშნიკებდი“, ყველა ზომისა და პლასტიკატის, ჩვრისა და კაუჩუკისას დავდევდი.

შვიდი წლის უკვე ჩემი უბნის გუნდის „გასვლით“ თამაშებში ვმონაწილეობდი და სერიოზულად ვფიქრობდი იმ დროზე, როცა ნამდვილ ბუცებს, მაისურებს ტრუსებსა და გეტრებს ჩავცვამდი. ვგრძნობდი, რომ ჩემი თამაში მოსწონდათ. სხვათა შორის, მაშინ უფრო ხშირად მარცხენათი ვურტყამდი. უფროსი ძმა კაკაუ მარწმუნებდა, რომ ასე უფრო ძლიერად და ზუსტად გამომივიდოდა.

ერთხელ ჩვენი, ღლაპების გუნდი თვით „ატლეტიკოსი“, შტატის მაშინდელი ჩემპიონის პირისპირ წარსდგა მინდორზე. იღლიაში ამოჩრილი „ბაშმაკებით“ გავემართე თამაშზე იმედით, რომ „თავისუფალი ადგილი“ მოინახებოდა ჩემთვის გუნდში. იმედი გამიმართლდა, მომცეს ცალზოლიანი მაისური. ვაი რომ... ზოლი ტრუსებში ჩატანებული აღმოჩნდა და აღარ ჩანდა, რასაც საერთო სიცილი მოჰყვა. რა მოხდა? იცინონ, მე კი ხელიდან არ გავუშვებ ჩემს შანსს! მოვიგეთ 2-1, და გამარჯვების გოლი მე გავიტანე, წინ გამოსულ მეკარეს თავზე გადავუგდე ბურთი. გმირად დავბრუნდი შინ.

ნამტირალევმა და დაღლილმა ჩავიძინე, ორივე ხელი საწოლის თავს ჩავჭიდე ღერძივით. ეს სცენა გამეორდა 1970 წელს, მსოფლიო ჩემპიონები რომ გავხდით.

1970 წ. ტოსტაო (წინა პლანზე) „ატლეტიკოს“ მცველთან გრაპეტესთან ორთაბრძოლისას

ნამდვილი და ყალბი

მამამ ჩემს გამო ჩვენს გუნდზე მეუბნებოდა ითავა. თამაშამდე ბანანებს ყიდულობდა და შესვენებაზე ურიგებდა ბიჭებს. ბანანი, ამბობდა იგი, ძალიან სასარგებლოა. მასში ბევრი ვიტამინია – კალციუმით სავსე, სიცოცხლისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელსაც ორგანიზმი ფიზიკური ძალდატანების შედეგად ხარჯავს. მისი ნაკლოვანება კი კუნთების კრუნჩხვას იწვევს.

ერთხელ მამამ „ამერიკისა“ და „ბოტაფოგოს“ მატჩზე წამიყვანა. მახსოვს, რომ არ თამაშობდა ნილტონ სანტოსი, რომელსაც „ფეხბურთის ენციკლოპედიას“ უწოდებდნენ, მაგრამ მინდორზე გამოვიდა მისი ძმა ნილსონი, ძალიან ჰგავდა გენიალურ ნილტონს – ისეთივე ტანადი, მოძრავი და დაცვის იმავე პოზიციაზე იყო გამწესებული. თავი ვერ შევიკავე და ვთქვი:

– იგი ნამდვილი ნილტონ სანტოსია.

– არა, შვილო, – მიპასუხა მამამ, – შეიძლება ცუდად არ თამაშობს, მაგრამ განსხვავდება როგორც ასლი ორიგინალისაგან.

და მართლაც, ერთ მომენტში ნილსონს შორს გაექცა ბურთი, მეტოქემ ხელთ იგდო იგი და გაიტანა გოლი.

მამამ შემომხედა და გაიღიმა. მივხვდი, რომ მართალი არ ვიყავი.

ბევრი მოთამაშე ჰგავს დიდოსტატს, მაგრამ ნამდვილი ოსტატი მაინც ვერაა. ძალიან ცოტაა ნამდვილი ოსტატი.

ფეხბურთი — პირველყოვლისა ტალანტია

შვიდიდან თორმეტ წლამდე ჩვენი საცხოვრებელი კვარტალის გუნდში ვთამაშობდი. შესანიშნავი გუნდი იყო, საფეხბურთო კლუბი „ინდუსტრიაროისი“ ერქვა. მთელ „ბელუ-ორიზონტაში“ გაგვივარდა სახელი, არსებითად, კლუბ „ამერიკას“ მოზარდთა გუნდი ვიყავით, ძირითადი გუნდის მატჩებამდე მისი ფორმით გამოვდიოდით ყოველ კვირა დილას. ბევრი მაყურებელი გვესწრებოდა, რომელსაც სანახაობა არ მოჰკლებია. დღესაც, წლების სიმაღლიდან ვფიქრობ, რომ ლამაზად და ეფექტურად ვთამაშობდით. ეს ორი მცნება იშვიათად გვხვდება ერთად. ზოგიერთი პრაგმატიკოსები ირწმუნებიან, რომ გამარჯვება ითხოვს მსხვერპლს. მე კი ბავშვობიდან შევიგონი, რომ სულაც არ არის ასე და რომ შემოქმედება და შედეგი მუდამ ერთად უნდა იყოს. ტალანტი უწესრიგოდ არარაობაა, ეს ცხადია. მაგრამ უფანტაზიო შიშველი დისციპლინა ცოტას ნიშნავს. შთაგონებით ვთამაშობდით და ამიტომაც უბრალოდ კი არ ვიმარჯვებდით, არამედ ლამაზად ვაღწევდით შედეგებს. ამიტომაც ვუყვარდით მაყურებელს.

(გაგრძელება იქნება)

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

პალერმოს მეფური შეხვედრა მოუწყეს


მარტინ პალერმო

ოთხშაბათს საღამოს ვალენსიის აეროპორტში დიდი გამოცოცხლება იყო: 550-მდე გულშემატკივარმა 60-კილომეტრიანი გზა გაიარა, რათა შეხვედროდა კლუბ „ვილიარეალის“ შენაძენს – არგენტინელ თავდამსხმელ მარტინ პალერმოს. მასში ესპანურმა კლუბმა „ბოკა ხუნიორსს“ 8,5 მილიონი დოლარი გადაუხადა.

GIVILIZATION CUP: მთავარ პრიზს იგალია და ეგვიპტე შეეცილებიან

ოთხშაბათს თეირანში დაიწყო ოთხერის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძელთა გარდა მონაწილეობენ ჩინეთის, ეგვიპტისა და, რაც ქართველებისთვის უფრო საყურადღებოა, იტალიის ეროვნული ნაკრები გუნდები.

პირველ დღეს მატჩების ბედი პენალტების სერიამ გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტელთა მეკარე აბდულ-მონსეიფმა ორი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა მოიგერია, კიდევ ერთი ჩინელებმა ძელს მოარტყეს.

GIVILIZATION CUP: ნახევარფინალები

ირანი — იტალია 2-2, პენალტებით 5-6.
0-1 ავორინო (20), 1-1 დაეი (73), 1-2 ავორინო (78), 2-2 ხაშემინასაბი (84).

ეგვიპტე — ჩინეთი 0-0, პენალტებით 3-2

ფინალური მატჩი დღეს გაიმართება.

ფიგეროა პირველია, სამორანო — მეორე

განთქმული ჩილელი მცველი ელიას ფიგეროა სპეციალისტებისა და გულშემატკივრების გამოკითხვის შედეგად აღიარებულია საუკუნის ფეხბურთელად. იგი თამაშობდა „ვალპარაისო უონდერერსში“, „პენიაროლში“ (მონტევიდეო, ურუგვაი), „ინტერნასიონალში“ (პორტუ-ალეგრე, ბრაზილია), „პალესტინოში“, „ფორტ-ლოდერდეილ სტრაიკერზში“ (აშშ) და „კოლო-კოლოში“, ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 70 მატჩი, იყო მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე, სამჯერ ზედიზედ (1974, 1975 და 1976 წლებში) აღიარეს სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად.

მეორე ადგილზე გავიდა ივან სამორანო, რომელმაც კარლოს კასელი და მარსელო სალასი ჩამოიტოვა.

ერიქსონისაგან სასწაულს ელიან

როგორც კი სვენ-გორან ერიქსონმა შეწყვიტა ურთიერთობა რომის „ლაციოსთან“, და, ასე ვთქვათ, ვადაზე ადრე გადაბარგდა ინგლისში, ამან ნისლიან ალბიონზე ახალ-ახალი გამოხმაურება გამოიწვია.

ბევრი იმის მომხრეა, რომ ერიქსონის ნაცვლად ნაკრებში მუშაობა უნდა გაეგრძელებინა ნიჭიერ ახალგაზრდა მწვრთნელ პიტერ ტეილორს, რომელმაც გუნდის გაახალგაზრდავებისკენ აიღო კურსი და შეთავსებით „ლესტერ სიტიშიც“ მუშაობდა. ერიქსონის მიწვევა ძალიან არ მოსწონთ ნაკრების ვეტერანებს, მსოფლიო ჩემპიონებს ბობი და ჯეკი ჩარლტონებს, ჯეფრი ჰერსტს. ისინი შვედის მიწვევას ეროვნულ სირცხვილად და დამცირებად მიიჩნევენ. დაახლოებით ასეთივე აზრი გამოთქვეს ნაკრების ახლანდელმა წევრებმა გარი ნევილმა და პოლ სქოულზმა. საინტერესოა, რომ სქოულზი, რომელსაც ინგლისში დიდი ავტორიტეტი აქვს, ძალიან მოსწონს ...ერიქსონს, მაგრამ შვედს ნამდვილად არ მოეწონებოდა განთქმული ნახევარმცველის ასეთი განცხადება: „განა ინგლისში გამოილია კარგი მწვრთნელები?“

როგორც ფეხბურთის მიმომხილველებს მიაჩნიათ, ინგლისში ერიქსონისაგან პირდაპირ სასწაულს ელიან – მან გუნდი მსოფლიოს 2002 წლის ფინალში უნდა გაიყვანოს. ეს მაშინ, როცა შესარჩევი ტურნირის საწყის მატჩებში გერმანიისა და ფინეთის ნაკრებებთან ინგლისელებმა უკვე დაკარგეს 5 ქულა. ვნახოთ, ასეთ ვითარებაში რას მოიმოქმედებს ინგლისის ისტორიაში ნაკრების პირველი უცხოელი მწვრთნელი.

სურათზე: სვენ-გორან ერიქსონი.

რონალდინიო მალე პარიზელი გახდება

ოთხშაბათს საღამოს საფრანგეთის „პარი-სენ ჟერმენის“ ისტორიაში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. როგორც იქნა დასრულდა ესოდენ გაჭიანურებული მოლაპარაკება ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავთან, 20 წლის რონალდინიოსთან. იგი ამჟამად პორტუ-ალეგრის „გრემიოს“ ღირსებას იცავს. იტყობინებიან, რომ რონალდინიო გაუჩო პსჟ-ს ამ ზაფხულიდან შეუერთდება. კონტრაქტის ფინანსური დეტალები უცნობია.

ამრიგად, პსჟ-მ აჯობა ესპანურ „ბარსელონას“ და მილანის „ინტერს“, რომლებიც რონალდინიოს გადაბირებას ჯერ კიდევ შარშან ზაფხულიდან ლამობდნენ.

ევრო-2008: მასპინძლობა შოტლანდიას, ირლანდიასა და უელსს სურთ. რას ბრძანებს უეფა?

შოტლანდიის, ირლანდიის და უელსის საფეხბურთო ასოციაციებმა უეფაში ერთობლივი განაცხადი შეიტანეს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ჩასატარებლად. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ბრიტანელებს მშვენიერი შანსი აქვთ საწადელის მისაღწევად, ვინაიდან საკონტინენტო პირველობების ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში ჩატარების ექსპერიმენტმა გაამართლა — ევრო-2000 ხომ ჰოლანდიასა და ბელგიაში გაიმართა.

„სენგ-ეტიენი“: ცხრილის შუაგულიდან – აუგსაიდერებში

საფრანგეთის პროფესიონული ლიგის ხელმძღვანელობამ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება — პირველი დივიზიონის კლუბ „სენტ-ეტიენს“ ერთბაშად 7 ქულა ჩამოაკლო და ამგვარად, ეს კოლექტივი ცხრილის შუაგულიდან აუტსაიდერთა რიგებში მოექცა. გარდა ამისა, ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო კლუბის პრეზიდენტმა ჟერარ სოლერმა. ახლა, არ იკითხავთ, რატომ დაატყდა ლიგის მესვეურთა რისხვა „სენტ-ეტიენს“? საქმე ისაა, რომ მისი მოთამაშეები — უკრაინელი ლევიცკი და ბრაზილიელი ალექსი ყალბი პასპორტებით გამოდიოდნენ (ამის შესახებ „ლელოს“ მკითხველი უკვე ინფორმირებულია).

ჩეხებსაც აქვთ „ოქროს ბურთი“

1997 წელს ჩეხეთში ქვეყნის №1 ფეხბურთელის დასაჯილდოებლად დაწესდა „ოქროს ბურთი“. პირველად იგი „შალკე-04“-ის მოთამაშეს ირეი ნემეცს მიენიჭა. მომდევნო წელს გაიმარჯვა პაველ ნედვედმა („ლაციო“), 1999 წელს კი ინგლისის „ლივერპულის“ ნახევარმცველმა პატრიკ ბერგერმა. 2000 წლისთვის, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჯილდო კვლავ ნედვედს მიეკუთვნა, მეორე ადგილი და „ვერცხლის ბურთი“ ბელგიის „ანდერლეხტის“ თავდამსხმელ იან კოლერს, მესამე — პრაღის „სპარტის“ ნახევარმცველ ტომაშ როსიცკის.

სურათზე: პაველ ნედვედი

ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა

აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ განის „ჰართს ოფ ოუკი“ და ტუნისის „ესპერანსი“. პირველი შეხვედრა სტუმრად განელებმა მოიგეს ანგარიშით 2-1, მათვე გაიმარჯვეს მეორეშიც — 3-1.

აქ რაიმე განსაკუთრებული არც კი იყო, რომ არა მეორე მატჩის საოცარი მიმდინარეობა. სტუმრებს თითქმის სრული უპირატესობა ჰქონდათ და ანგარიშიც მიჰყავდათ, ამასთან, მეორე ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობაც დაკარგეს. ისინი, ეტყობა, გაიმარჯვებდნენ კიდეც, რომ არა მომდევნო ფანტასტიკური ამბები...

თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, ტრიბუნებზე არეულობა დაიწყო, პოლიცია იძულებული გახდა ცრემლმდენი გაზი გაეშვა. ამ გაზმა, რომელიც ძალიან გულუხვად გამოიყენეს, ათასობით გულშემატკივრებთან ერთად ოფიციალური პირებიც დააზარალა. მათ შორის აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი ისა ჰაიატუ.

სტადიონზე სრული ქაოსი დაიწყო. ამასობაში სტუმრების გულშემატკივრები მინდორზე შეიჭრნენ და ტუნისის ნაკრების მეკარეს პატარა პაკეტი გადასცეს. მეკარემ ამ პაკეტით ლოყაზე რიტუალური ნიშანი გაიკეთა, მაგრამ ისეთი ჭრილობა მიიღო, რომ არბიტრამდე მიირბინა და სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის გამო გრძნობადაკარგული დაეცა. ტუნისელები ამტკიცებდნენ, რომ მეკარე ტრიბუნიდან გასროლილმა საგანმა დააზიანა. ასე იყო თუ ისე, მსაჯმა მაინც გააგრძელა თამაში. კარში ჩადგა ნახევარმცველი ჰასან გაბრი. რომელმაც... სამი გოლი გაუშვა.

ახლა „ჰართს ოფ ოუკი“ ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატში საკლუბო გუნდებს შორის, რომელიც ესპანეთში გაიმართება.

„რეალ-სოსიედადის“ ხელმძღვანელობა გადადგება

სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადის“ კლუბში, სადაც გიორგი დემეტრაძე თამაშობს, დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. კლუბის პრეზიდენტმა ლუის ურანგამ განაცხადა, რომ იგი მთელ თავის გარემოცვასთან ერთად გადადგება. მან თარიღიც დაასახელა — 23 მარტი. 50 წლის ბიზნესმენი აცხადებს, რომ კლუბის უმძიმესი სატურნირო მდგომარეობა ვერა და ვერ გამოასწორა.

— ვაპირებდი კლუბში არანაკლებ 10 წელი მაინც შემუშავა, მაგრამ საქმე ისე წარიმართა, უარესი რომ არ შეიძლება. ვფიქრობ, ახალ პრეზიდენტს 23 მარტამდე საკმაო დრო ექნება იმისათვის, რომ მოამზადოს პროგრამა გუნდის გადასარჩენად.

საჭიროა გოლეადორი

სრულიად ბანალური გამოთქმაა, მაგრამ ეს არ უნდა დასჭირვებოდა მილანის „ინტერს“, რომელსაც თავის შემადგენლობაში ჰყავდა რონალდო, კრისტიან ვიერი, ივან სამორანო, ალვარი რეკობა, ჰაკან შუქური, რობი კინი. დიახ, ზოგმა მათგანმა კლუბი უკვე დატოვა, ზოგიც გუნდში ფორმალურად ირიცხება. ახლა „ინტერი“, რომელსაც იტალიის ჩემპიონატში სავალალო შედეგები აქვს, გაფაციცებით ეძებს გოლების გამტანს, მაგრამ იგი ხომ სხვა მრავალ კლუბსაც სჭირდება.

ახალი სნაიპერი „ჩერნომორეცში“

მას შემდეგ, რაც ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბაიდაჩნიმ ამდენი გარიცხვისა და შემდეგ შერიგების მიუხედავად საბოლოოდ მაინც აიღო ხელი შედეგიან თავდამსხმელ კონსტანტინ კოვალენკოზე, იგი გაფაციცებით ეძებდა მის შემცვლელს და ახლა თითქოს მიაგნო კიდეც.

ეს არის ეკატერინბურგის „ურალმაშში“ (რუსეთის მეორე დივიზიონი) მოთამაშე იგორ პალაჩოვი, რომელსაც ეკუთვნის აბსოლუტური რეკორდი. რუსეთის ყველა დივიზიონისათვის. პალაჩოვმა „ურალმაშში“ ლიგის მატჩებში 36 (!) გოლი გაიტანა.

„ქულების დამრიგებლობას“ კი უწინასწარმეტყველებდნენ

„იფსვიჩ თაუნი“ 1999-2000 წლების სეზონში რის ვაივაგლახით გადავიდა ინგლისის პრემიერ-ლიგაში. როცა გულშემატკივრებმა მის საგანაცხადო სიას გადახედეს, იქ რომელიმე გამოჩენილი ოსტატის გვარს ვერ მიაგნეს. ფიქრობდნენ, რომ „თაუნი“ უმაღლეს ლიგაში ისეთივე „ქულების დამრიგებელი“ იქნებოდა, როგორიც ადრე, ვთქვათ, „უოტფორდი“ იყო.

მაგრამ აი დაიწყო 2000-2001 წლების სეზონი და „იფსვიჩ თაუნმა“ ყველა სკეპტიკოსს იმედი გაუცრუა. საუკეთესო მწვრთნელმა ჯორჯ ბერლიმ საუკეთესო ანსამბლიც ჩამოაყალიბა. კლუბი არა თუ გათამაშების ცხრილის ბოლოში არ „ჩაიძირა“, არამედ ახლა საპრიზო ადგილზეც კი აცხადებს პრეტენზიას. ყველა რგოლი ძალიან კარგად არის დაკომპლექტებული, ხოლო მეკარე რიჩარდ რაიტმა მეტისმეტად გამოიჩინა თავი. იმასაც კი წერენ, რომ ასეთი ბრწყინვალე გოლკიპერი ქვეყანას არა ჰყოლია პიტერ შილტონის შემდეგ. ახლა ინგლისის აღმოსავლეთში მდებარე ქალაქი იფსვიჩი ნამდვილმა საფეხბურთო ციებ-ცხელებამაც კი მოიცვა. ახსენებენ დროს, როცა მას სახელოვანი ბობი რობსონი წვრთნიდა და იგი ევროთასებზეც კი იმარჯვებდა. ახლა თვლიან, რომ კლუბს იგივეს გამეორება შეუძლია.

სპორტული პლანეტა

კრივი

საუკეთესო მოკრივე მოსლია


შეინ მოსლი

სრულიად მსოფლიოს კრივის საბჭომ (WBC) დაასახელა შარშანდელი წლის რჩეული სპორტსმენი. ეს არის ამერიკელი *შეინ მოსლი*, ხოლო მისი ორთაბრძოლა თანამემამულე ოსკარ დე ლა ჰოიასთან მიჩნეულია „წლის საუკეთესო შერკინებად“.

მოკლეს რუსეთის ჩემპიონი

გუშინ ტოლიატში უცნობმა ბოროტმოქმედებმა ავტომატის ჯერით მოკლეს ცნობილი მოკრივე, რუსეთის ჩემპიონი პროფესიონალებში ონიკ არშაკიანი.

რუსთა დიაცს კონგინენგის რჩეულის გიგული სურს

ანასტასია ტოკტაულოვა

მაშ ასე, გადაწყეტილი ამბავია, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მხარეთა პრომოუტერებმა როგორც იქნა გუშინ გააფორმეს ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ ექვს მარტს მოსკოვში, ცსკა-ს დარბაზში გაიმართება მოკრივე ქალთა ბრძოლა ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის — რუსეთელი ანასტასია ტოკტაულოვა შეხვდება უნგრელ ვიქტორია პატაკის (52 კგ წონითი კატეგორია).

სავონს სხვა ოლიმპიური ჩემპიონებიც მიუყვანენ

როგორც ვიტყობინებოდით, დიდმა კუბელმა მოკრივემ ფელიქს სავონმა ასაკის გამო (სექტემბერში 34 წელი შეუსრულდება) დაკარგა სამოყვარულო რინგზე გამოსვლის უფლება. მას კვალდაკვალ მიჰყვა 3 ოლიმპიური ჩემპიონი — ხუან ერნანდესი, ენრიკე კარიონი და ექტორ ვინენტი, რომლებმაც სიდნეიში მოიპოვეს მაღალი ტიტულები და დაამთავრეს სამოყვარულო კარიერა, რომელიც 33 წლამდე განისაზღვრება.

NBA

ნბა: ეს თავშეუკავებელი კემბი და დაზარალებული მწვრთნელი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის პირველობაზე გუშინწინ ინციდენტი მოხდა: „ნიუ-იორკ ნიქსის“ კალათბურთელმა მარკუს კემბიმ „სან-ანტონიოს“ წინააღმდეგ მატჩში მეტოქე მოთამაშეზე, სახელდობრ დენი ფერიზე, გაიწია. მასპინძლის მოქნეული მუშტი მოჩხუბართა შორის ჩამდგარ „ნიუ-იორკის“ მწვრთნელს ჯეფრი ვან განდის მოხვდა. დარტყმა იმდენად მძლავრი გამოდგა, საბრალო მწვრთნელს 14 (!) ნაკერი დაადეს. და მაინც, განდი ამაოდ არ გარჯილა: ნბა-ს დირექტორატმა კემბის მხოლოდ ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 25 ათასი დოლარი აკმარა. იმ შემთხვევაში, თუ კემბის მუშტი მეტოქეს მოხვდებოდა, საჯარიმო სანქციები გაცილებით მკაცრი იქნებოდა.

გუშინ კი ნბა-ს პირველობაზე 8 მატჩი გაიმართა. მორიგი გამარჯვება იზეიმა უპირობო ლიდერმა „ფილადელფიამ“.


უტევს კემბი

ფილადელფია — ჩიკაგო 99:88
აივერსონი — 43, რეტლიფი — 12, მაკი — 11; ბრენდი — 24, დრიუ — 23, მერსერი — 12, ჰობერგი — 10.

შარლოტი — დალასი 90:91
მეშბურნი — 22, უესლი — 19, ბრაუნი — 14, კემპბელი — 13, დევისი — 11; ნოვიცკი — 27, ეისლი — 23, ფინლი — 14.

ნიუ-ჯერსი — ვაშინგტონი 108:89
ვან ჰორნი — 27, მერბიური — 22, ნიუმენი — 16, ჯექსონი — 15; ჰოვარდი — 18, ჰამილტონი — 17, უიტნი — 14, ლოპესი — 10.

იუტა — მინესოტა 81:89
მელოუნი — 22, მარშალი — 19, სტოქტონი — 10; გარნეტი — 23, ბრენდონი — 19, პილერი — 17, შერბიაკი — 12.

სან-ანტონიო — ტორონტო 91:98
დანკანი — 22, ანდერსონი — 20, დანიელსი — 17, რობინსონი — 15, პორტერი — 11; კარტერი — 27, ჯექსონი — 23, პეტერსონი — 15, ოკლი — 13, დევისი — 10.

დენვერი — ვანკუვერი 121:97
ვან ექსელი — 21, მაკდაესი — 20, ლაფრენცი — 13; აბდურ-რახიმი — 24, დიკერსონი — 18, სვიფტი — 15, რივზი — 14.

საკრამენტო — ბოსტონი 111:106
უებერი — 30, სტოიაკოვიჩი — 26, უილიამსი — 17, ბერი — 13, დივაცი — 12; უოლკერი — 47, პირსი — 18, სტიტი — 17.

სიეტლი — ფინიკსი 80:89
ბერი — 19, პატერსონი — 18, პეიტონი — 15, ბეიკერი — 12; როჯერსი — 17, დელკი — 16, კიდი — 15, რობინსონი — 13, ცაკალიდისი — 12.

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	თ.	მ.	%
ფილადელფია	29	9	76,3
ნიუ-იორკი	24	13	64,9
მაიამი	23	17	57,5
ორლანდო	17	20	45,9
ბოსტონი	14	25	35,9
ნიუ-ჯერსი	13	26	33,3
ვაშინგტონი	7	33	17,5

ცენტრალური დივიზიონი

მილუოკი	23	15	60,5
შარლოტი	23	18	56,1
ტორონტო	20	19	51,3
კლივლენდი	18	19	48,6
ინდიანა	18	21	46,2
ატლანტა	14	23	37,8
დეტროიტი	14	24	36,8
ჩიკაგო	6	32	15,8

დასავლეთის კონფერენცია

შუადასავლეთის დივიზიონი

იუტა	24	14	63,2
სან-ანტონიო	23	14	62,2
დალასი	25	16	61,0
დენვერი	23	16	59,0
მინესოტა	22	18	55,0
ჰიუსტონი	19	19	50,0
ვანკუვერი	11	27	28,9

წყნარი ოკეანის დივიზიონი

პორტლენდი	29	11	72,5
საკრამენტო	26	10	72,2
ლეიკერსი	25	12	67,6
ფინიკსი	23	13	63,9
სიეტლი	21	20	51,2
კლიპერსი	13	28	31,7
გოლდენ სტეიტი	11	26	29,7

ველოსპორტი

წინ ავსტრალიელია

ცნობილი ავსტრალიელი ველოსიპედისტი სტიუარტ ო'გრეიდი, რომელიც იცავს ფრანგული ველოჯგუფის „კრედი აგრიკოლის“ ღირსებას, სათავეში ჩაუდგა მრავალდღიან რბოლას „Touk Down under“. საერთო ჩათვლაში მეორე შედეგი აქვს იტალიელ ფაბიო საკის, მესამე — გერმანელ იორგ ლუდვიგს.

სურათზე: სტიუარტ ო'გრეიდი რბოლის დისტანციაზე.

ძალოსნობა

დიმასი – ასანიძის ღელი ათენშიც გაგრძელდება

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბერძენი ძალოსანი პიროს დიმასი შეფასნილია 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მეთვრამეტე წევრად. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელოვანი სპორტსმენი თავს ანებებს აქტიურ სპორტს. როგორც მან განაცხადა, ათენში იგი აუცილებლად მოიგებს მეოთხე ოლიმპიადას. ასე რომ, გიორგი ასანიძეს ძირითად მეტოქედ მომავალ თამაშებში ისევ საბერძნეთის წარმომადგენელი ეყოლება. როგორი დასამარცხებელია დიმასი შინაურ კედლებში, თავად განსაჯეთ. და მაინც, ასანიძის მხარეს მისი ახალგაზრდული წლებია..

რუმინეთში ძალოსნობას აღარ აფინანსებენ

რუმინეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა შეწყვიტა ქვეყნის ძალოსნობის ფედერაციის დაფინანსება. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ სიდნეიში, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე რამდენიმე რუმინელი სპორტსმენი სადოპინგო სკანდალში გაეხვია. შეგახსენებთ, ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ძალოსნები ტრაიან ჩიხარიანი და ადრიან მატიაში ანაბოლიკების მიღებაში ამხილეს. რათა ისინი ოლიმპიადაზე დაეშვათ, რუმინეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა 50 ათასი დოლარი ჯარიმა გადაიხადა.

ოლიმპიზმი

დისიდენტების იმედად...

ჩინელმა დისიდენტებმა და მათმა ოჯახის წევრებმა მიმართვა გაუგზავნეს ქვეყნის ლიდერებს, პეტიცია შეიცავს მოთხოვნას დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ ციხეებიდან ყველა პოლიტპატიმარი. 119 ადამიანს, რომელმაც ხელი მოაწერა დოკუმენტს, მიაჩნია, რომ ამ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ პეკინის შანსები უმასპინძლოს 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებს, მკვეთრად გაიზრდება.

პეტიციაში შემოთავაზებულია თარიღიც, როდესაც შეიძლება დაამთხვიონ ამნისტიის გამოცემა – მომავალ კვირას ჩინური კალენდრით ახალი წელი დადგება.

სკანდალი

ბეკერი გაკვირვებულია...

როგორც ცნობილია, გერმანელ ჩოგბურთელს ბორის ბეკერს უჩივის რუსეთის მოქალაქე ქალი ანჯელა ერმაკოვა. შეგახსენებთ, ერმაკოვა ვეტერან სპორტსმენს უმტკიცებს, რომ ერთადერთი ქალიშვილი ბეკერისაგან ჰყავს.

ბორისი გაკვირვებულია — ამ ქალთან მხოლოდ ერთხელ მქონდა კავშირი და თანაც ჩვენი სექსი ორალური იყო. ბეკერის ადვოკატებიც ორიგინალურად ხსნიან ყოველივეს: რუსული მაფია ერმაკოვას მეშვეობით ცდილობს ფულის წაგლეჯასო.

მძლეოსნობა

უემბლი „უარზეა“

ცნობილი სტადიონის „უემბლის“ ახალმა ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა განზრახვაზე, ლონდონის ამ ცნობილ სარბიელზე ჩატარდეს 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. „უემბლის“ ახლახანარჩეულმა პრეზიდენტმა როდნი უოლკერმა განაცხადა, რომ ასეთი გადაწყვეტილება არა მხოლოდ გრანდიოზული სამუშაოების ჩატარებას, არამედ სხვა მიზეზებსაც უკავშირდება, რომლის დასახელებისგან მან თავი შეიკავა.

ამასთან, უოლკერმა დასძინა, რომ არ შეცვლის განზრახვას „უემბლი“ გადაქციოს უნივერსალურ სპორტულ ნაგებობად. სარეკონსტრუქციო სამუშაოები ამ სახელგანთქმულ სტადიონზე მალე დაიწყება და 2004 წლამდე გასტანს. მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი კი ლონდონის მეორე სტადიონზე – „ლი ველლიზე“ ჩატარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში

როცა ყველა ფავორიტმა მოიყარა თავი

მართლაც იშვიათი შემთხვევაა — ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირში მსოფლიოს ყველა უძლიერესმა დიდოსტატმა მოიყარა თავი.

როგორია მათი პირადი შეხვედრების ანგარიში?

მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი იმით ამაყობს, რომ უპირატესობა აქვს გარი კასპაროვთან. ამას ახლა ვერც ერთი სხვა წამყვანი მოჭადრაკე ვერ დაიკვეხნის. კრამნიკი და კასპაროვი დღემდე 39-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. კრამნიკმა მოიგო 5 პარტია, წააგო 3, დანარჩენი 31 კი ყაიმით დასრულდა. მსოფლიოს მეორე (ფიდეს ვერსიით) ჩემპიონ ვიშვანათან ანანდთან კრამნიკს 34 პარტიის შემდეგ თანაბარი ანგარიში აქვს: +4-4=26. აი, სხვა უძლიერეს მოჭადრაკეებთან კი კრამნიკის შედეგი უარყოფითია. ალექსეი შიროვთან აგებს ორი ქულის განსხვავებით: მოიგო 7 პარტია, წააგო 9; ცამეტი კი ყაიმით დაასრულა. როგორც მოგეხსენებათ, ახლანდელმა ჩემპიონმა ორი წლის წინათ წააგო საპრეტენდენტო მატჩი შიროვთან, რომელსაც ამის შემდეგ თითქოს უნდა ჰქონოდა კასპაროვთან შეხვედრის უფლება, მაგრამ... პეტერ ლეკოსთან კრამნიკი ორჯერ დამარცხდა, არ მოუგია, 14 პარტია ყაიმით დასრულდა.

გარი კასპაროვი კრამნიკთან კი აგებს, მაგრამ დანარჩენ წამყვან მოჭადრაკეებთან უდავო უპირატესობა აქვს. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ანანდთან შეხვედრებში, რომელიც კასპაროვმა 15-ჯერ (!) დაამარცხა, წააგო მხოლოდ 5, ოცდაოთხი პარტია კი ყაიმით დასრულდა. შიროვი კასპაროვს აქამდე, საერთოდ ვერ უმკლავდებოდა. თვითონ განსაჯეთ: კასპაროვმა მოიგო 9 პარტია, საერთოდ არ დამარცხებულა, 9 შეხვედრა კი ყაიმით დასრულდა. კასპაროვს უპირატესობა აქვს 21 წლის ლეკოსთანაც: ორი პარტია მოიგო, არ წაუგია, 6 პარტია კი ყაიმით დასრულდა.

ანანდის შეხვედრებზე კრამნიკსა და კასპაროვთან უკვე ვთქვით. შიროვსა და ლეკოსთან კი ინდოელ მოჭადრაკეს უპირატესობა აქვს. შიროვი მან შვიდჯერ დაამარცხა, წაგო მხოლოდ ორი, 20 პარტია კი ყაიმით დასრულდა. ლეკო ინდოელმა ორჯერ დაამარცხა, 9 პარტია კი ყაიმით დამთავრდა. შიროვი აქამდე წარმატებით თამაშობდა ლეკოსთან, რვაჯერ დაამარცხა, ორი წაგო, ათი პარტია კი ყაიმით დასრულდა.

ამ სტატისტიკურ მონაცემებში გათვალისწინებული არ არის „სწრაფი ჭადრაკის" შედეგები, ვთქვათ, ამ დღეებში დამთავრებულ მატჩში კრამნიკსა და ლეკოს შორის, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის გამარჯვებით აღინიშნა ანგარიშით — 7:5. ცხადია, არ არის გათვალისწინებული ელვისებური პარტიებიც.

ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი თუნდაც იმიტომ იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს, რომ მან ახალი ურთიერთობა უნდა გაარკვიოს ერთი მხრივ ორ მსოფლიო ჩემპიონს ვლადიმირ კრამნიკსა და ვიში ანანდს (მათ ერთმანეთთან დღეისათვის თანაბარი ანგარიში აქვთ), ისე გარი კასპაროვს შორის, რომელიც აშკარად აცხადებს, რომ ორივე ჩემპიონზე უკეთ თამაშობს.

პირველი ორი პარტიის მოგების შემდეგ კასპაროვი მართლაც დაწინაურდა, ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მესამე ტურში კი გაიმართა მისი შეხვედრა ანანდთან, რომელიც საერთოდ კასპაროვთან ძალიან ცუდად თამაშობს, მაგრამ ამჯერად მაინც ყაიმს მიაღწია. ეს ყაიმი ექსჩემპიონს ერთპიროვნული ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა — მას დაეწია ალექსანდრ მოროზევი, რომელმაც ჰოლანდიელ ლიუკ ვან ველის მოუგო. ორ-ორი ქულა მოაგროვეს ვლადიმირ კრამნიკმა (მოგება და ორი ყაიმი, ვიში ანანდმა, ალექსეი შიროვმა და იან ტიმანმა).

მეოთხე ტურში ლიდერთა დუეტი ტრიოდ გადაიქცა. კასპაროვმა შავებით ყაიმით დაასრულა შეხვედრა ვასილი ივანჩუკთან და ამდენად, 3 ქულა მოაგროვა. მას დაეწივნენ კრამნიკი, რომელმაც მოუგო ტივიაკოვს და შიროვი. მოროზევიჩი დამარცხდა ადამსთან, რომელიც ამრიგად 2,5 ქულით დაეწია მას. ამდენივე მოაგროვეს ანანდმა და ტიმანმა. ისე რომ, სულ რაღაც ნახევარი ქულის განსხვავებით წარმოიქმნა ლიდერთა შვიდეული, რომელშიც პირველი ადგილის ყველა ძირითადი პრეტენდენტი შედის. ეს კი აქედანვე მეტად ამწვავებს სატურნირო სიტუაციას.

ბივი თორელი

როგორ სძლია №1-მა №4-ს

საჭადრაკო კომენტატორების ფართო გამოხმაურება გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონ ვლადიმირ კრამნიკის მატჩმა (სწრაფ ჭადრაკში) მსოფლიო რეიტინგით №4 მოჭადრაკე პეტერ ლეკოსთან. აქ საინტერესო ისიც იყო, რომ აქამდე, კრამნიკს ლეკოსთან არც ერთი მოგება არა ჰქონდა არც სუპერტურნირებში და არც სწრაფ ჭადრაკში.

ახლა კი თვალყური მივადევნოთ 12 პარტიისაგან შემდგარი მატჩის მსვლელობას. მეტოქეები დღეში ხომ ორ პარტიას თამაშობდნენ. პირველ დღეს კრამნიკმა ერთი პარტია მოიგო, მეორე კი ყაიმით დაასრულა — 1,5:0,5. მეორე დღემ ასეთივე შედეგი მოიტანა — 3-1. მესამე დღემ მატჩის მდგომარეობა რამდენადმე შეცვალა: ლეკომ მოიგო პირველი პარტია, მეორე კი ყაიმით დაასრულა. კრამნიკმა მაინც შეინარჩუნა ლიდერობა — 3,5:2,5.

მეოთხე დღე ლეკოს აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. მას ანგარიშის გათანაბრება მეშვიდე პარტიაშივე შეეძლო, მაგრამ კრამნიკი გადარჩა. მერვე პარტია ლეკომ მაინც მოიგო: 4:4. მატჩის ბოლომდე კი რჩებოდა 4 პარტია.

აი, აქ კი მსოფლიო ჩემპიონი აშკარად გაბრაზდა. მან მეხუთე დღეს მოიგო ორივე პარტია — 6:4. ამასთან, მეცხრე შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია, პარტიამ კი მთელი საჭადრაკო პრესა მოიარა. ამ ორი მძიმე მარცხის შემდეგ ლეკომ ვეღარ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. ბოლო ორი პარტია ყაიმით დამთავრდა, კრამნიკმა გაიმარჯვა საბოლოო ანგარიშით 7:5, ლეკომ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მასთან ხუმრობა არ შეიძლება.

«ჩემპიონთა ჩემპიონი»

პოპულარულ ფრანგულ სპორტულ გაზეთ „ეკიპის" გამოკითხვის შედეგად საფრანგეთის შარშანდელ საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია ძიუდოისტი დავიდ დუე. იგი ისტორიაში პირველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონია, რომელმაც შეინარჩუნა უმაღლესი ოლიმპიური ტიტული, რისთვისაც „2000 წლის ჩემპიონთა ჩემპიონის" წოდება მიანიჭეს. გამოკითხვაში დუემ გაუსწრო სახელოვან თანამემამულე ფეხბურთელს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს ზინედინ ზიდანსა და სიდნეიში ჩატარებული ოლიმპიადა-2000-ის გამარჯვებულ მოკრივე ბრაიმ ასლუმს (48 კგ).

ჩოგბურთი ● ავსტრალიის ღია ჩემპიონატი

იგებენ ისინი, ვის ოგებასაც ყველა ელის

ოთხი სათამაშო დღის დამთავრების შემდეგ მელბურნში რაიმე დიდი მოულოდნელობა არ აღინიშნულა. ქალთა შორის მცირე დანაკლისად ითვლება კონჩიტა მარტინესისა (ესპანეთი) და ემი ფრეზერის (აშშ) მარცხი, თუმცა ისინი, ცხადია, არც ითვლებოდნენ ჩემპიონატის მთავარ ფავორიტებად. ასეთებად ტრადიციულად მიჩნეული არიან მარტინა ჰინგისი, რომელიც ძალიან იოლად იგებს შეხვედრებს და მისი „ისტორიული მეტოქე" ლინდსეი დევენპორტი. საინტერესოა, რომ ისინი კარგა ხნით ადრე ჩავიდნენ ავსტრალიაში და ღია ჩემპიონატის დაწყებამდე ერთმანეთს უკვე შეხვდნენ სიდნეის საერთაშორისო ტურნირში, სადაც ჰინგისმა მოუგო დევენპორტს. საინტერესოა, რომ მათ პირად შეხვედრებში უპირატესობა მაინც დევენპორტს აქვს (11 მოგება და 10 წაგება), თუმცა ბოლო სამი შეხვედრა (ახლანდელის ჩათვლით) მაინც შვეიცარიელმა მოიგო. ჰინგისის და დევენპორტის მომავალი შეხვედრა უკვე (თუ შედგა) ჩემპიონატის მიწურულში უნდა გაიმართოს. მიმომხილველები აღნიშნავენ მერი პირსის ჩინებულ მზადყოფნას. როგორც ცნობილია, ფრანგი ჩოგბურთელი კარგა ხანს ავად იყო და მხოლოდ ახლა განაახლა თამაში.

ვაჟთა ტურნირში დღემდე რაიმე მნიშვნელოვანი რამ არ მომხდარა — წამყვანი მოთამაშეები იგებენ. მეხუთე ნომრად განთესილმა რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა, რომელსაც „კალაშნიკოვს" ეძახიან, მოუგო ძლიერ გერმანელ ოსტატ ნიკოლას კიფერს. მესამე წრეში პირველი სერიოზული მეტოქე ეყოლება მსოფლიო ჩემპიონ გუსტავო კუერტენს, რომელიც გრეგ რუსედკის შეხვდება.



მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

19 იანვარი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.15), ***ევროკა.*** „მსოფლიო სპორტი (20.00), ***HTB plюс спорт.*** ჭადრაკი. ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი (11.40), კალათბურთი: ევროლიგა (12.10), სუპერლიგა, ვაუები (14.50), ნბა, მიმოხილვა (17.50), ტალანდური კრივი (18.50), კიკბოქსინგი. პროფესიონალთა მატჩი (23.00), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (7.00, 9.00, 15.30, 1.00), ფეხბურთი: არგენტინის (12.00, 22.00), ესპანეთის (18.30) ჩემპიონატი და მიმოხილვა, საერთაშორისო შეხვედრა — ავსტრალია — ირლანდია (5.00), ***EUROSPORT.*** რალი. პარიზი — დაკარი-2001 (11.30, 1.30, 3.45), ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა (12.00, 15.00, 19.00, 0.00), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.45, 16.15, 18.00). ***HTB плюс футбол.*** შოტლანდიის (13.50, 19.15), იტალიის (0.45) ჩემპიონატები და მიმოხილვა, პროფესიონალ ფეხბურთელთა პრემიის „Стрелец"-ის გადაცემის ცერემონიალი (17.40), ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (21.00), ჩემპიონთა ლიგა — 2000 (21.15, 23.00).

20 იანვარი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. ევროკა. „მსოფლიო სპორტი" (20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***HTB плюс спорт.*** კალათბურთი: ნბა (11.40), ევროლიგის მიმოხილვა (17.10), „დიდი რინგი" (21.30), ჭადრაკი, ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი (23.30), ***EUROSPORT.*** რალი. პარიზი — დაკარი-2001 (11.30, 1.30, 4.15), ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა (0.00), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი, (13.45, 18.00, 19.00, 21.00), ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. თურქეთი (23.00), კალათბურთი. ევროლიგა (3.15), ***HTB плюс футбол.*** შოტლანდიის ჩემპიონატი (13.15), ევროპის ფეხბურთი (15.00), პროფესიონალ ფეხბურთელთა პრემიის „Стрелец"-ის გადაცემის ცერემონიალი (15.50), ჩემპიონთა ლიგა-2000 (21.50).

21 იანვარი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „ფუტბოლ მონდიალი" (18.40), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი (23.30), ***ევროკა.*** „მსოფლიო სპორტი" (21.30), ***HTB плюс спорт.*** ჭადრაკი. ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირი (15.10, 23.30), სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი ლათინურამერიკულ ცეკვებში (15.40), ***ESPN.*** ფეხბურთი: იტალიის (12.30, 19.00), ესპანეთის ლიგა (2.00), ***EUROSPORT.*** რალი. პარიზი — დაკარი-2001 (11.30, 1.30), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.00, 15.00, 17.15, 18.00), ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. თურქეთიდან (22.00), „ყველა სპორტული ასპარეზობა, ყველაზე საუკეთესო" (2.15), ***HTB плюс футбол.*** იტალიის (13.15, 23.30), ესპანეთის (14.55, 1.35), ინგლისის (21.50) ჩემპიონატები და მიმოხილვა. თანამეგობრობის თასი (17.55, 19.55).



ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ №5

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. არმიელთა სპორტული კლუბი (აბრევიატურა), 7. საქართველოს რაგბისტთა კლუბი, 9. მოძრაობა ძალოსნობაში, 10. სამხრეთ საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 11. თბილისის აგრარული უნივერსიტეტის საფეხბურთო კლუბი (აბრევიატურა), 14. სპორტის სახეობა, რომელიც უფრო აშშ-შია გავრცელებული, 15. „შახტარის" მეკარე, 16. ზაფხულის მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 17. საქართველოს და შვეიცარიის საფეხბურთო კლუბები, 21. სამხრეთკორეელი ფეხბურთელი — კიმ ... ჰონი, 22. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 26. არგენტინელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 27. თბილისის „ლოკომტივის" ახალდანიშნული მწვრთნელი, 29. შვედი ფეხბურთელი, ფორვარდი, 31. ქუთაისის რაგბისტთა კლუბი, 32. ინგლისში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელი, 33. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ბავშვთა საფეხბურთო გუნდი ფილმ „ფეოლაში", 2. ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი, მარცხენა გარემარბი, 3. მსოფლიო ექსჩემპიონი ამერიკელი მოკრივე, 4. სპორტის სათამაშო სახეობა, 5. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 6. 60-70-იან წლებში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 8. ნბა-ს კლუბი, 12. კლუბი, რომელსაც სათავეში უდგას არსენ ვენგერი, 13. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 18. ტერმინი ველოსპორტში, 19. უმაღლესი საჭადრაკო ჯილდო, 20. ინდოელი მოჭადრაკე, 23. ნბა-ს ვარსკვლავი, 24. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 25. ცნობილი პროფესიონალი მოკრივე, 28. რუმინელი საფეხბურთო მწვრთნელი, 29. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 30. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი.

№4 ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ფარვა, 5. წამი, 8. ფეოლა, 9. ბრაზილია, 11. ბა, 12. გარემარბი, 13. ჩუი, 14. „ანცი", 18. ბალი, 19. ლატინინა, 22. „ჰერტა", 24. სავონი, 26. ბლოხინი, 27. ვეა, 29. ტერი, 31. ფორმენი, 32. შტანგა. **ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ:** 2. არენა, 3. ვილნეკი, 4. ილიე, 5. წრიაპი, 6. იამანიძე, 7. შანიძე, 10. ფარი, 13. ჩოჩიშვილი, 15. ნებიერიძე, 16. გუნდი, 17. „დილა", 20. ლასკერი, 21. „სოლინგი", 23. ტაპი, 24. სო, 25. ნახტომი, 28. აია, 30. სფფ.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ომზარ შოშიტაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს ომზარ შოშიტაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ომზარ შოშიტაშვილს გარდაეცვალა მეუღლე

ნარგიზა ისაკაძე

პანაშვიდი: 19.20.01, 16 სთ. გამოსვენება 21.01.14 სთ. მისამართი: სოფ ლისი.

თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური სამძიმარს უცხადებს, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივანს ომზარ შოშიტაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს მოჭიდავეთა რეგისტრირებული საზოგადოება „რაინდი" თანაგრძნობას უცხადებს ომზარ შოშიტაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს ომზარ შოშიტაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საჭადრაკო ამოცანა

Ძ.ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ, 1993Წ.



ᲜᲐᲓᲘᲨᲐᲛᲐᲗᲘ 2 ᲡᲕᲚᲐᲨᲘ

(ს�ი ამოხსნა)

წინა ნომრის ამოცანის ამოხსნა:

1. ლh1! მუქარა 2. ლ:g2X.
1. ...ghლ 2. ეc2X. 1. ...კc1+ 2. ლ:c1X.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.